# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 17 ნოემბერი 2004 №268 (2289)

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## შუქმა თამაში დაიწყო: ჟირესს ვარჯიში ჩაეშალა



## 2 ქართველი ახალგაზრდები ახლიდან გასაზრდელები არიან 4



საქართველოს ნაკრების დანიასთან მატჩისწინა ვარჯიში ჩაიშალა!

გუშინ, საღამოს, ეროვნული გუნდი შუა წვრთნაში რომ იყო და მწვრთნელ-ფეხბურთელები დახურულ ვარჯიშზე ტაქტიკურ ვარიანტებს ამუშავებდნენ, „ლოკომოტივზე“ სწორედ მაშინ ჩამობნელდა. სტადიონს ჯერ თელასმა უმტყუნა, მერე — გენერატორებმა. მოხდა ის, რაც რუსეთთან ავადმოსაგონარ ჩაშლილი მატჩისას — ელექტრიკოსებმა გენერატორები ვერ აამუშავეს. მოედნის განათების რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ ალენ ჟირესმა ველარ მოითმინა, ვარჯიში შეწყვიტა და გუნდს ავტობუსისკენ უხმო.

ჩვენც გულზე ძველდარდშემოყრილები და შეფიქრიანებულები ვკითხულობთ: დღესაც რომ ჩაბნელდეს „ლოკომოტივი“ და ვერც დღეს ამუშავდეს გენერატორები, პასუხისმგებელი ვინ იქნება — „ლოკომოტივი“, ფეხბურთის ფედერაცია თუ თელასი?

...გუშინდელი სანახევრო ვარჯიში კი ერთი ტაიმისხელა გამოვიდა. ფეხის თითის ტკივილის გამო არ უვარჯიშია რეინჯერსელ ზურაბ ხიზანიშვილს, თუმც მოგვიანებით გვითხრეს, რომ მწვრთნელმა ზურა დაასვენა და დღეს ალბათ ჯანზე იქნება.

და თუ ხიზანიშვილი ვერ ითამაშებს? არ ვიცით, ჟირესის დავთარში ძირითადი შემადგენლობა როგორაა ჩამოწერილი, თუმც ერთი რამ ძალიან გვეუცნაურა: ვარჯიშისას ორად გაყოფილი გუნდის იმ შემადგენლობაში, სადაც კალაძე, ხიზანეიშვილი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, სალუქვაძე, მჟავანაძე, ჯიქია, იაშვილი და არველაძე იყვნენ, არ იყო მალხაზ ასათიანი და ვეჭვობთ, დღეს ის ძირითადში ვიხილოთ. შესაძლოა, ჟირესი მეტოქეს სიურპრიზს უმზადებს. რას, ალბათ თამაშისას ვნახავთ.

ისე კი, „ლოკომოტივის“ მოედნის შორიდან ცქერისას ისიც შევნიშნეთ, რომ მწვრთნელი აქცენტს დაცვით მოდელზე აკეთებდა და თუ ჩვენებმა დღესაც, ალბანეთთან მატჩის მსგავსად, დაცვიდან ითამაშეს, ძალიან ნუ გაიკვირვებთ.

ბოლოს კი სატურნირო ცხრილიც გავიხსენოთ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| თურქეთი | 4 | 1 | 3 | 0 | 6:2 | 6 |
| ალბანეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | 6 |
| დანია | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| საქართველო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| საბერძნეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ყაზახეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |



# მიმხრჩობის მიხრჩობა

**დავით თავართქილაძე**

ბოლო ორ თამაშში ორი წაგება, ორი გატანილი გოლი და ათი გაშვებული.

გუნდს აკლდნენ დისკვალიფიცირებული გოგუა, ციმაკურიძე, ლომიძე, ალადაშვილი, ტრავმირებული კაშია, გრიგალაშვილი და ხოჯავა.

მაგრამ გუნდს აკლდა ინტელექტიც — გუშინ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა არ იცოდა, როგორ ეთამაშა დანიასთან, ითამაშა ის, რაც იცის და, ფაქტობრივად, ყველა კომპონენტში დაეჩაგვრინა სკანდინაველებს.

ქართველი მწვრთნელებისგან ხშირად გაგვიგონია, ფეხბურთელი ნაკრებში საერთაშორისო დონისთვის მოუმზადებელი მოდის და 4-5 დღიან შეკრებაზე ფიზიკურად მომზადება შეუძლებელიაო. იგივე თქვა გუშინ გოჩა ტყებუჩავამაც, მაგრამ ზემოხსენებული ქართველი მწვრთნელებისგან განსხვავებით, ისიც დასძინა, თავს არ ვიმართლებო.

ახლა ის ვიკითხოთ, ამდენი დისკვალიფიცირებული საიდან, რატომ. იმიტომ, რომ მინდორზე უდისციპლინოდ, არასპორტულად მოიქცნენ, დისციპლინას კი მწვრთნელმა უნდა მიხედოს.

და რატომ არღვევენ სათამაშო დისციპლინასაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები? გუშინ ირაკლი თოთლაძემ თომას კალენბერგის მეორე თერთმეტმეტრიანი მოიგერია, მაგრამ მეკარის მიერ უკუგდებულ ბურთზე ქართველი კი არა დანიელი გაიქცა და გაიტანა. ძალიან უბრალო და მარტივი მაგალითია იმისა, რომ გუნდში სათამაშო დისციპლინაც მოიკოჭლებს.

კიდევ, გუშინ მატჩის არბიტრმა რიხარდ ჰავრილამ ქართველები ორჯერ დაინდო — ჯაბა კანკავასა და თეიმურაზ ბურნაძეს ოდენ ყვითელი ბარათები აკმარა — ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები საფეხბურთო ეროვნული გუნდია თუ...

სტადიონზე მისულმა მაყურებელმა დანიელი ფეხბურთელების და მსაჯების გინებით გული იჯერა, სანთებელა, სხვა ნივთები და „კოკაკოლას“ ბოთლიც ისროლეს არენაზე. ნამატჩევს დანიელები მოედნის ცენტრში მიიქუჩნენ, მათ შორის სათადარიგოთა სკამზე მჯდომნიც — ისინი გულშემატკივრის დაცხრომას ელოდნენ. შემდეგ ქურთუკები თავზე წაიფარეს, თითქოს ეს ნასროლი საგნებისგან დაიფარავდა და ასე შევიდნენ გასახდელში. ეს იყო მათი საზღაური გამარჯვებისთვის და ეს იყო ის, რაც გუშინ ქართველებმა შევძელით.

...პირველი მწვავე ეპიზოდი მასპინძლებისა იყო — ოთარ მარცვალაძემ მოხდენილად ჩააწოდა კარის გასწვრივ, მაგრამ ახლოდან ბურთის კარში გადამგზავნი არავინ აღმოჩნდა. ეს ჩხვლეტა იგემეს თუ არა, დანიელებმა ყველაფერი თავიანთ ჭკუაზე მომართეს, უხარისხო მინდორზე ბურთი გააგორეს და მალევე დაწინაურდნენ კიდეც — მიქაელ კრონ-დელიმ ლამის აუტის ხაზიდან ისეთი საჯარიმო დაარტყა, რომ ბურთი კარში ჩაეშვა — კურიოზული გოლი გამოვიდა.

დანია კვლავ გამართულად თამაშობს, საგოლე მომენტებს ქმნის, მაგრამ ჯერ თოთლაძე ყოჩაღობს და მასთან პირისპირ გასულ ნიკოლას მორტენ რასმუსენს ჯობნის, მერე კი იონას კამპერის დამატებული ხარიხას ეხახუნება.

და მეორე გოლი — კამპერის დარტყმული თოთლაძემ მოიგერია, დამატებას რასმუსენი ეშურება, მაგრამ დავით იმედაშვილი მას წესების დარღვევით უშლის ხელს და პენალტი კალენბერგს გააქვს.

ჩვენები რამდენიმე მწვავე იერიშს ახერხებენ, თუმცა გამართულ თამაშს ვერა. ამასობაში კამპერი მარჯვნიდან და კრონ-დელი მარცხნიდან წამდაუწუმ აწუხებენ ქართველებს.

მაგრამ ბურთი ირაკლი მოდებაძემ მოიგდო, მეტოქის კარისკენ მოტრიალდა და ცაციათი ისეთი დაბალი ბურთი მოსხიპა, რომ სტუმართა ახმახი მეკარე მინდორზე გაშოტილიც ვერ მიწვდა — ძალიან ოსტატური გოლი იყო, უმაღლეს დონეზე შესრულებული.

შესვენების შემდეგ ქართველები უფრო მონდომებულნი ჩანდნენ, თამაშის საკუთარ თავზე აღებას უკეთესად და უფრო გაბედულად ეშურებოდნენ. განსაკუთრებით მარცხენა ფლანგი ამუშავდა — ზაალ ელიავა და რევაზ გეწაძე. ჰოდა, დანიელებსაც გაუჭირდათ, ისე ველარ ლაღობდნენ, როგორც პირველ ტაიმში. დანიის მეკარემ დროის გაყვანაც კი დაიწყო და ამისთვის ყვითელი ბარათიც დაიმსახურა. მაგრამ ამ დროს მოდებაძე ისე დაშავდა, შესაცვლელი შეიქნა.

და მატჩის ყველაზე საკვანძო ეპიზოდიც — ელიავას შორეულ პასით ბურთი გიორგი ნოდარის ძე ჭელიძეს მიუვიდა, მარცხნივ გაიჭრა და კარის გასწვრივ ჩააწოდა, ქართველებმა რამდენჯერმე დაარტყეს კარში, მაგრამ დაცხრილული დანიელები მაინც გადარჩნენ, საუკეთესო შანსი ამ ეპიზოდში გეწაძეს ჰქონდა, ვისაც ახლოდან მეკარემ აუღო. გადარჩენილმა დანიელებმა კი მყის სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, პენალტი კრონ-დელიმ მოინაგრა და მატჩის ბედიც აქ გადაწყდა.

ამით შოკირებულ მეტოქეს დანიელებმა მალე ერთიც გაუტანეს — კამპერმა ჩააწოდა, რასმუსენმა თავურით შეაგდო — ყველაფერი მარტივად და კოხტად მოხდა. თუმცა ყოველგვარი ირონიის გარეშე ისიც სათქმელია, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა ბოლო ძალა მოიკრიბეს და დიდი ანგარიშით წაგებას არ შეეგუვნენ — პავლე დათუნაიშვილმა ელიავას ფლანგური პასით გაიტანა.

ერთხელაც გამოჩნდა, რომ აგრესია და ემოცია კარგია, თუმცა — მიდით, ბიჭებო, მოახრჩეთ — ფეხბურთი მხოლოდ ეს არ არის, ფეხბურთი კიდევ ბევრი რამაა.




## ევროპის 2006 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

თბილისი. 16 ნოემბერი. 20 საათი. ეროვნული. 3 000 (ტევადობა 70 000)

### საქართველო (U-21) 2:4 დანია (U-21)

0:1 კრონ-დელი (11), 0:2 კალენბერგი (32პ), 1:2 მოდებაძე (44), 1:3 კამპერი (79), 1:4 ტიგესენი (81), 2:4 დათუნაიშვილი (87)

*კალენბერგმა ვერ გაიტანა პენალტი (79, მეკარე)*

**საქართველო (U-21):** თოთლაძე, დათუნაიშვილი, ა. კალაძე, იმედაშვილი, ელიავა, ბურნაძე, გ. ნუგ. ჭელიძე, კანკავა (ბესარაშვილი 79), მარცვალაძე (ნაკანი 61), გეწაძე, ი. მოდებაძე (გ. ნოდ. ჭელიძე 62)
*სათადარიგონი:* შეყრილაძე; მიქიაშვილი, რაქვიაშვილი, რაზმაძე
**მწვრთნელი:** გოჩა ტყებუჩავა

**დანია (U-21):** სტურ-ელეგაარდი, კილდენტოფტი, ტროესტი, ჰოგი, მ. პედერსენი, კავნ-სვარდი (ტიგესენი 75), ბერგვოლდი, კრონ-დელი, კამპერი, კალენბერგი, მ. რასმუსენი (აბსალონსენი 90)
*სათადარიგონი:* ტ. რასმუსენი; ი. პოულსენი, ლორენცენი, ი. სორენსენი, კურტი
**მწვრთნელი:** ფლემინგ სერიტსლევი

**გაფრთხილება:** კალაძე (28), კავნ-სვარდი (35), დათუნაიშვილი (57), კალენბერგი (63), სტურ-ელეგაარდი (66), კანკავა (72), ბურნაძე (84)

**მსაჯები:** რიხარდ ჰავრილა; რადომირ შლუკი, მარიან რუჟბარსკი; ვლადიმირ ვნუკი (ყველა სლოვაკეთი)

**უეფას დელეგატი:** ვაცლავ კრონდლი (ჩეხეთი)



## პრესკონფერენცია

ჟურნალისტებს ჯერ სტუმართა თავკაცმა ფლემინგ სერისტლევმა გვიპასუხა...

— ძალიან ძნელი თამაში იყო და ბედნიერი ვარ, რომ მოვიგეთ. გაგვიმართლა — როცა ანგარიში თითქოს 2:2 უნდა გამხდარიყო, იქით გავიტანეთ პენალტი და ამან ამოგვასუნთქა. ქართველები ძალიან ტექნიკურები ყოფილხართ, თქვენიანთაგან იმედაშვილს და მოდებაძეს გამოვარჩევ. მსაჯობას კი დადებითად ვაფასებ.

ამის შემდეგ საპრესკონფერენციო ოთახში ხმაჩახლეჩილი გოჩა ტყებუჩავა შემოვიდა, მოგვესალმა და... დაიწყო:

— რა ვთქვა, თავს ზემოთ ძალა არ არის. ალბათ მეტი აღარ შეგვიძლია, სხვა მიზეზს ვერ ვპოულობ. ექვსი ფეხბურთელი გვაკლდა, მერე ხოჯავაც გამოგვაკლდა, გეწაძემ სულაც სიცხიანმა ითამაშა. არ მინდა, თავის მართლება დავიწყო, მაგრამ ეს დანაკლისი სერიოზული რომ იყო, ფაქტია. დანიელებმა ყველაფერში გვაჯობეს.

...სამწუხარო ისაა, რომ ყოველთვის „ფიზიკაში“ ვაგებთ. სირბილი არ შეგვიძლია. რა ვქნა, რა გავაკეთო, ოთხდღიან შეკრებაზე ფეხბურთელი როგორ მოვამზადო?! ამ დროში ვცდილობ, ტონუსი შევუნარჩუნო ბიჭებს, მაგრამ ფიზიკურად ვერ მოვამზადებ, ამის გამოა, ამდენ შეცდომას რომ ვუშვებთ. ბრძოლა და სირბილი აღარ შეგვიძლია, ჯანით ვიჩაგრებით.

...თოთლაძეს სამი დღის წინ ბებია გარდაეცვალა. ვკითხე, შეგიძლია თამაში თუ არა-მეთქი, მითხრა, პრობლემა არ არისო. მერე ჩემს თანაშემწესაც დავეკითხე და გადავწყვიტეთ, კარში თოთლაძე ჩამდგარიყო. სამწუხაროდ, უხეშად შეცდა, მაგრამ ასეთებიც ხდება.

...ბურნაძის და კანკავას დიდი იმედი მქონდა, მაგრამ ბოლომდე ვერ გამიმართლეს. აღარ შეეძლოთ.

...უდისციპლინოებზე რომ მეკითხებიან, ვგიჟდები. როგორ ვუთხრა ფეხბურთელს, პადკატი არ გააკეთოო? თუ საჭიროა, ყვითელი ბარათიც უნდა მიიღო და წითელიც. ვფიქრობ, გუნდში ყველაფერი რიგზეა, თუ არ გჯერათ, ბაზაზე გვესტუმრეთ და ყველაფერს თავად ნახავთ.

**ჩვენი ჯგუფი**

**საბერძნეთი 5:0 ყაზახეთი**
1:0, 2:0, 3:0 მანციოსი (19, 45, 48), 4:0, 5:0 პლიაგასი (82, 85)

**თურქეთი 1:0 უკრაინა**
1:0 იბრაჰიმ აკინი (25)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 4 | 3 | 1 | 0 | 10:6 | 10 |
| უკრაინა | 5 | 3 | 0 | 2 | 10:4 | 9 |
| თურქეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| საბერძნეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| ალბანეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| საქართველო | 4 | 1 | 1 | 2 | 4:11 | 4 |
| ყაზახეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:8 | 0 |

## ამხანაგური მატჩი

ავსტრალია 2:2 ნორვეგია

ეროვნული ბიბლიოთეკა


ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

ტრადიციისამებრ, ალენ ჟირესი ჟურნალისტებთან საუბარს არ იზარებს და სადანიო მატჩისწინა ამბავ-ხაბარს ყოველდღიურად გვამცნობს. ბევრი ლაი-ლაი რად უნდა, რომ დღეს საქართველოს ნაკრებს „წლის მატჩი“ ელის და ღმერთმა ქნას, ნამატჩევს მუსიე ალენი ისეთივე ფრანგული იუმორის ხასიათზე იყოს, როგორსაც ბოლო სამი დღე სასტუმრო „ბატესტაში“ ვხედავთ.

ისე, გუშინ ჟირესი ცოტა შეფიქრიანებული გვეჩვენა და მიზეზიც ჰქონდა...


ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

ზურაბ ხიზანიშვილის თამაში სათუოა

# ჟირესს ოლსენის ფსიქოლოგია არ აშინებს
## დანია? რაც გინახავთ, იმას ნახავთ...

— ზურაბ ხიზანიშვილმა ფეხის ცერა თითი დაიზიანა და მისი თამაში სათუოა. იმედია, ეს მცირედი ტრავმა არ გამიზეზდება და შემადგენლობაში კორექტივების შეტანა არ დაგვჭირდება.

— თუ ხიზანიშვილი ვერ ითამაშებს, ამ დანაკლისის შევსებას რამდენად შეძლებთ?

— ჩვენ მხოლოდ 11 კაცი არ გვყავს. ეს ეროვნული ნაკრებია და ერთ რამეს ვიტყოდი — თუ ფეხბურთელს ვათამაშებ, ესე იგი, მის შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ და ვენდობი. ისე, ორმაგად საწყენია, მოთამაშე თამაშის წინა დღეს რომ დაგაკლდება.

— თუ იგრძნობა გუნდში ისეთი განწყობა, როგორიც წინა სამ მატჩში იყო?

— განწყობას არასოდეს ვუჩივით. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ წინა შეხვედრებისთვის უფრო მეტი დრო გვქონდა მოსამზადებლად, ახლა კი ჩვენ უცებ, ერთი ამოსუნთქვით უნდა მივაღწიოთ პიკს. ეს პიკი ხვალინდელი 90 წუთი უნდა იყოს.

— გოგობერიშვილი და ჯიქია პირველად გამოიძახეთ ნაკრებში. ვარჯიშზე მათზე რა წარმოდგენა დაგრჩათ?

— ისინი ნაკრების წევრებს კარგად იცნობენ და შინაურულად გრძნობენ თავს. სხვა რა გითხრათ, ნორმალურად ვარჯიშობენ...

— მორტენ ოლსენმა თქვა, საქართველოს ნაკრები კარგად შევისწავლე და სიურპრიზებს არ ველიო...

— ეს თავისებური ფსიქოლოგიური ომია თამაშამდე. დაახლოებით ასეთივე რამ მეც ვთქვი და გუშინაც გითხარით, რომ ევროპის ჩემპიონატზე ნანახი დანია შესარჩევის მატჩებში არაფრით არ შეცვლილა.

— დანია მთლად ტიპიურ ჩრდილოევროპულ ფეხბურთს არ თამაშობს, ანუ მათ სამხრეთული ელემენტი, ტექნიკაც შეზავებული აქვთ. ტაქტიკურადაც შეტევას ამჯობინებენ და, ეს იმის ნიშანია, რომ ხვალ გახსნილი თამაში იქნება?

— გეთანხმებით, დანია შემტევი გუნდია, მაგრამ მათი კოზირები უნდა მოვსპოთ და ჩვენი თამაში უნდა შევთავაზოთ. ვიმეორებ, დანია რაც ადრე გინახავთ, ხვალაც იგივე იქნება.

— დანია 4-3-3-ით აპირებს თამაშს და გამოკვეთილ ფორვარდად, ალბათ, ტომასონი ეყოლება. ისევე, როგორც ალბანელ ტარეს, ტომასონსაც პერსონალურ მეურვეს დაუყენებთ?

— საერთოდ, ერთ ფეხბურთელზე „აწებებას“ ახლა იშვიათად მიმართავენ. დაფიქრდით, სხვა თავდამსხმელის პირისპირ რომ დარჩება, ახლო მყოფმა მცველმა თავი უნდა გაანებოს და თავისი ფორვარდისკენ გაიქცეს? პერსონალური დაცვა თამაშის სცენარს მოჰყვება, გააჩნია, რა დროს რა არის საჭირო...

— დანიასთან მატჩის შემდეგ ნაკრებს ოთხთვიანი შესვენება ექნება. ამ პერიოდში ვეტერანების — ნემსაძის, ჯამარაულისა და ქინქლაძის ნაკრებში დაბრუნებაზე ხომ არ იფიქრებთ?

— ჯერ იმას გეტყვით, რომ ამ სამი ფეხბურთელის ერთად თამაში არ შეიძლება. სხვა რა გითხრათ, ჯამარაული უკლუბოდაა, ქინქლაძე კი ამჟამად დაკარგული წლების ანაზღაურებას ცდილობს და თუ ფორმაში შევიდა, ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**

დღეს საქართველო — დანიაა. კარგა ხანია, თბილისში ასეთი დონის, დალაგებულ-გააზრებული, აწყობილი, ვარსკვლავური გუნდი არ ჩამოსულა. ყველაფერთან ერთად დანია საქართველოს შანსიცაა და ამ თამაშს განსაკუთრებული ინტერესით ელის გულშემატკივარი.

დანიელთა თავკაცი მორტენ ოლსენი წლების წინ ამსტერდამის „აიაქსში“ შოთა არველაძის მწვრთნელი იყო, მანამდე კი გერმანულ „კიოლნში“ შოთას ძმას, რეზოს მოძღვრავდა. ჩვენც გადავწყვიტეთ, საქართველოს ნაკრებისა და გლაზგოს „რეინჯერსის“ თავდამსხმელს გავსაუბრებოდით — შოთამ დაუზარელად გვიპასუხა კითხვებზე...


ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

# მე კი ვაქებ ამ ჩვენს თბილისს...
## გამორთეთ მუქი, ჩართეთ შუქი!

— ჩვენი ნაკრებიდან მორტენ ოლსენს ყველაზე კარგად შენ იცნობ. როგორ დაახასიათებდი მას?

— ძალიან მაგარი მწვრთნელია. ფეხბურთელობის დროსაც ძლიერი მცველი იყო და მწვრთნელიც არანაკლებია. ფეხბურთი სიგიჟემდე უყვარს და, რაც მთავარია, ესმის. არასოდეს ლაპარაკობს მოწინააღმდეგეზე. „აიაქსში“ რომ ვთამაშობდი და მატჩის წინ დარიგებებს გვაძლევდა, მეტოქეზე სიტყვას არ ამბობდა. ისეთ რამეებს გვეუბნებოდა, რომ მეტოქის პლუს-მინუსი თითქოს არ აინტერესებდა, მაგრამ მერე ვხვდებოდით, რასაც ვაკეთებდით, ოლსენს ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გააზრებული.

— ოლსენი შემტევი ფეხბურთის მოყვარულ მწვრთნელადაა ცნობილი...

— ეს სიყვარულზე მეტია. ოლსენი გიჟდება შემტევ ფეხბურთზე და სხვანაირად თამაში ვერც წარმოუდგენია. ძალიან ძნელია, დღეს გუნდი შემტევ ფეხბურთს თამაშობდეს და ამ გზიდან წამითაც არ უხვევდეს. ოლსენს ეს შეუძლია და აკეთებს კიდეც.

— მაინც რითაა ძლიერი დანიის ნაკრები?

— ასე კონკრეტულად გამოყოფა ძნელია. უმთავრესი მაინც ისაა, რომ ყველა საფეხბურთო დეტალის შერწყმას ახერხებს. ზოგი გუნდი ფიზიკური მომზადებით გამოირჩევა, ზოგი ტექნიკით... დანიელები კი ყველაფერში სინქრონულები არიან. ასეთი თანაბრადაბალანსებული გუნდი მსოფლიოში ბევრი არ არის.

— დანიელებს რამდენიმე ფეხბურთელი აკლიათ, მაგრამ, სამაგიეროდ, შენი თანაკლუბელი პეტერ ლოვენკრანდსი იქნება...

— ძალიან სწრაფი და სახიფათოა.

— ცხადია, გინდა, გლაზგოში ჩასულს გულდაწყვეტილი დაგხვდეს...

— რა თქმა უნდა, ძალიან მინდა, ოღონდ არა თბილისის ნახვით...

— ჰო, თბილისს მართლა ვერ დაიმახსოვრებდა კარგად...

— რა ვქნა, ვაქებ და ვაქებ ამ თბილისს და როცა ჩამოდიან, შუქს უთიშავენ. იმედია, იმას მაინც ვანახებთ, რომ ფეხბურთს კარგად ვთამაშობთ.

— მაინც რა უნდა დავუპირისპიროთ დანიას?

— ის, რაშიც ძლიერები ვართ.

— ანუ?

— ასე ზეპირად თქმა ძნელია. ტაქტიკურად სწორად უნდა ვეთამაშოთ და დისციპლინა უნდა გვქონდეს მაღალ დონეზე. მონდომებასა და ბრძოლაზე აღარაფერს ვამბობ. ჰო, კიდევ ჩვენი, ქართული ინდივიდუალური ელემენტების სწორად გამოყენება. მეტი რა გითხრა, ხვალ თამაშისას უფრო გამოჩნდება დანარჩენი.

— დანიასთან თამაშს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებ?

— დანია ერთ-ერთი მეტოქეა ჩვენთვის, მაგრამ ისიცაა, რომ ჯგუფში მთავარი ფავორიტია. ამ მატჩით შესარჩევი ეტაპი არ მთავრდება, თუმც მოგება ძალიან მნიშვნელოვანია — როგორც სატურნირო თვალსაზრისით, ისე ფსიქოლოგიურად. უნდა მოვინდომოთ და მოვიგოთ.

— შინ თამაში დიდი უპირატესობაა?

— ხალხი თუ მოვა და ისე გვიქომაგებს, როგორც ნაღდად შეუძლიათ, მაშინ უპირატესობაა. არ მინდა დადუმებულ სტადიონზე თამაში. სტადიონი და თეატრი ერთმანეთისგან განსხვავდება. გვიქომაგეთ და ერთად მოვიგოთ!

**ქახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ ცუდი სტუმრები ვართ
## 180-გრადუსიანი ალბათობა

საქართველოს ნაკრების სადღეისო მეტოქე დანიამ გუშინ დილით გლდანში, თბილისის „ამერის“ საფეხბურთო სკოლის მოედანზე საათნახევარი-ორი საათი ივარჯიშა და მორჩა, სხვას ვერაფერს გეტყვით, ვინაიდან სტუმართა მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა ადრევე ისურვა, მატჩისწინა ვარჯიში დახურული იყოსო. ოლსენმა შეგირდები მოედანზე შეჰყარა და სკოლის მომსახურე პერსონალის ჩათვლით ყველა, ვინც უცხო თვალად ჩაითვლებოდა, იქაურობიდან დაითხოვა. ზოგადად, დახურულ ვარჯიშზე მწვრთნელები კონკრეტული მატჩისთვის ნაირნაირ ტაქტიკურ ვარიანტებს, სტანდარტული მდგომარეობებისას ბურთის გათამაშებას ამუშავებენ ხოლმე და ამ მხრივ არც დანია და ოლსენი იქნებოდნენ გამონაკლისები.

გლდნიდან კი რჩეული დანიელები სასტუმრო „მარიოტში“ დაბრუნდნენ და საპრესკონფერენციოდ ჟურნალისტები იქ დაგვიბარეს. მორტენ ოლსენმა პრესკონფერენცია პირველ საათზე დანიშნა და დათქმულ დროს დანიურად გაწყობილ დარბაზში შემოაბიჯა. მწვრთნელმა ჯერ თვისტომი ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა, შემდეგ კი ქართველებს მოგვიტრიალდა ...



ბადრი ქობალაძის ფოტო

იონ დალ ტომასონი და დანია ფკ ამერის სკოლაში

— დანიის ნაკრებში ნებისმიერ მეტოქესთან მატჩის წინ კარგი, მშვიდი განწყობაა, სანერვიულო არაფერი გვაქვს და მოსაგებად ვემზადებით.

...მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრის დამთავრებისთანავე ვთქვი, რომ დანია ურთულეს ჯგუფში მოხვდა. ჯერ ერთი, შორეულ ქვეყნებში მგზავრობა მოგვიხდებოდა და მეორე, საქართველოს და უკრაინას თავიანთი საფეხბურთო სკოლა აქვთ, რაც ნებისმიერი ევროპული ქვეყნისთვის სიახლეა. ახლა საქართველოს და უკრაინას ალბანეთსაც დავუმატებ, ესენიც თავისებურად თამაშობენ. დღესდღეობით კი ქართული ფეხბურთი განვითარების გზაზეა. აქ ისეთივე ვითარებაა, როგორიც დანიაში იყო 30 წლის წინ. ფეხბურთელები ევროპაში გარბიან სათამაშოდ და ნაკრებიც ლეგიონერების ხარჯზეა დაკომპლექტებული.

...ქართველებთან მატჩის წინ ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი გვაკლია, მაგრამ ეს ჩვენთვის პრობლემა არ არის და არც ვნერვიულობ. ალბანეთთან და თურქებთან მატჩებისას ექვსი ფეხბურთელი გვაკლდა, მაგრამ მაინც კარგად ვითამაშეთ.

–უკრაინასთან და თურქეთთან შინ მართლაც მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ, მაგრამ არა უშავს, ამ დანაკლისს სტუმრად თამაშისას ავინაზღაურებთ. დანიას ხომ უკვე ოცი მატჩია, სტუმრად არ წაუგია.

...სტუმრად წარმატებული თამაშის არანაირი საიდუმლო არ გვაქვს. საქმე ისაა, რომ დანიაში ჩამოსული ყველა გუნდი თავის საჯარიმოში იკეტება და თამაშის საშუალებას არ გვაძლევს. როცა 11 ფეხბურთელი თავს იცავს, მოგება ძნელია. სტუმრად მეტი თავისუფლება გვაქვს და ჩვენც უკეთ ვთამაშობთ.

...საქართველოს ნაკრებისგან რაიმე სიურპრიზებს არ ველი. ამ გუნდზე საკმაოდ ბევრი ინფორმაცია მაქვს და ვიცი, ხვალინდელი მეტოქის წინააღმდეგ გუნდი როგორ ვათამაშო. ოღონდ, არ მკითხოთ, როგორ ითამაშებთო. გეტყვით, რომ კარგად ვითამაშებთ, დანარჩენს ხვალ ნახავთ.

...საქართველოში შვიდი წლის წინაც ვიყავი, ბათუმში საქართველო — მოლდოვის მატჩს დავესწარი და სწორედ იმ თამაშის შემდეგ წავიყვანე „აიაქსში“ შოთა არველაძე. ახლანდელი და მაშინდელი საქართველოს ნაკრები კი ერთმანეთისგან დისციპლინით განსხვავდება. ახლა საქართველოს აშკარად უკეთესი გუნდი ჰყავს.

... დღესდღეობით დანიაში ლაუდრუპისა და ელკიაერის დონის ფეხბურთელები არ არიან, მაგრამ... დამეთანხმებით, ყოველწლიურად არც საქართველოში იბადებიან შოთა არველაძის დარი ფეხბურთელები.

... ზეპ პიონტეკი, რა თქმა უნდა, უდიდესი დანიელი მწვრთნელია. ის ახლა პენსიაზეა, შინ არის და ფეხბურთს როგორც ქომაგი, ისე უცქერს. გოლფის დიდი მოყვარულია და ხშირად ერთადაც ვთამაშობთ...

მორტენ ოლსენს მეტი აღარ გაუგრძელებია, დაგვემშვიდობა და სასადილოდ გაეშურა, თუმც გზაში რამდენიმე წუთით ჩვენმა დანიელმა კოლეგებმა შეაყოვნეს და ისევ სადღეისო მატჩის თაობაზე სულ წვრილ-წვრილად ალაპარაკეს.

დანიელები მერე ჩვენ მოგვიტრიალდნენ და საქართველოს ნაკრების ამბებითაც დაინტერესდნენ. ჩვენთვის საინტერესო კი ეს გვითხრეს, საქართველო ალბანეთზე ოდნავ უკეთესი გუნდია, დაახლოებით უკრაინის დონის და ჩვენთვის საქართველოსთან არანაირი შედეგი მოულოდნელი არ იქნება, ისეთივე ალბათობით შეიძლება წავაგოთ, როგორითაც მოგება და ფრე იყოსო.

მერე კი დანიელ ჟურნალისტთა ამქარი სასტუმრო „ბატესტასკენ“ გაემართა, იქ მათ ალენ ჟირესმა უმასპინძლა...

კობა ინასარიძე



ბადრი ქობალაძის ფოტო

მორტენ ოლსენს საქართველომ 30 წლის წინანდელი დანია გაახსენა

## geo_geo_fan@hotmail.com

წლეულს საქართველოს ნაკრები ბოლო თამაშს მართავს და, შესაბამისად, რუბრიკა **geo_geo_fan**-იც დღეს დანიასთან მატჩისწინა, ხვალ კი მატჩისშემდგომ კომენტარებს წარმოგიდგენთ და რამდენიმე თვით დაგემშვიდობებათ.

გულშემატკივართა მატჩისწინა განწყობა ურიგო არ არის — ყოველ შემთხვევაში, იმ გულშემატკივართა, რომლებმაც არ დაიზარეს და წერილები გამოგვიგზავნეს.

იმედი გვაქვს, დღეს ათი საათისთვის გულშემატკივარს უკეთესი განწყობა ექნება, იქამდე კი შემოსული კორესპონდენციები გავარჩიოთ.

— პირდაპირ გეუბნებით, ვითხოვთ მხოლოდ გამარჯვებას და არაფერს გამარჯვების გარდა! ამ შემოდგომაზე ჩვენ დავიბრუნეთ ქართული ფეხბურთი. თუმცა ახლა უფრო ფართომასშტაბიანი გამარჯვება გვესაჭიროება. ერთხელ მაინც უნდა მოვიგოთ საკვანძო მატჩი. ამას ნამდვილად იმსახურებს პოსტრევოლუციური საქართველო. გალაკტიონს თუ დავესესხებით, ეს სწორედ „ისეთი დღეა — გამარჯვებას რომ ეკადრება.“

საუკეთესო სურვილებით ALEXANDER

ისე, თუ გახსოვთ, საქართველოს ნაკრებს სატურნირო თვალსაზრისით პრინციპული მატჩი მართლა არასდროს მოუგია. კი, დავამარცხეთ რუსეთი, მაგრამ იმ მოგებას ხომ სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. გალაკტიონის ხსენებაზე კი, „ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!“

ახლა მომდევნო წერილი — გულს რომ აგიძგერებს, სისხლს აგიდუღებს და ბევრ რამეს გაგაკეთებინებს, ისეთი.

— აი, ისევ მოვიდა სანაკრებო თამაში. აი, ისევ აგვიძგერდა გულები და ისევ ხმის ჩახლეჩამდე უნდა ვუქომაგოთ თითოეული ჩვენგანის უსაყვარლეს, სათაყვანო გუნდს. მიდით ბიჭებო, დასცხეთ დანიას. ამოატრიალეთ და მოუგეთ ჰანს ქრისტიან ანდერსენის მეზღაპრეებს. ერთი ჩემი კაცი ჰყავთ ჩამოყვანილი, კაპიტანი იქნებაო, უთქვამს ოლსენს. ვისზე ვამბობ? იონ დალ ტომასონზე. ჩემი კაცი იმიტომ ვთქვი, რომ ის ჩემი უსაყვარლესი გუნდის „თავდამსხმელია“. ბრჭყალებში კი იმიტომ ჩავსვი, რომ... არ მომერიდება და პირდაპირ ვიტყვი: თავმოჭრილი ბატივით დარბის, გოლი ვერ გააქვს ვერანაირი პოზიციიდან, უნაღდეს მომენტებს აფუჭებს... ვერ ვიტყვი, რომ იონ დალი არაა ფეხბურთელი. ფეხბურთელია მა რაა, ისე აბა ვინ აიყვანდა „მილანში“. ერთს ნაღდად ვისურვებ, რაღა მაინცდამაინც ჩვენთან თამაშისას უნდა გაიხსენოს გოლის გემო?! არ მინდა, არააააააა. იმასაც ამბობენ, დღევანდელი დანიის ნაკრების ლიდერიაო. იყოს ლიდერი, ვინ უშლის, მაგრამ, ბიჭებო, ჩვენო ბიჭებო, ძალიან გთხოვთ, მიეცით მას საშუალება, დღესაც ისეთივე თავმოჭრილი ბატივით ირბინოს, როგორც „სან სიროზე“ ან სხვაგან დარბის აგერ უკვე მერამდენე თვეა. საქართველოს გაუმარჯოს! საქართველომ კიდევ ერთი ისტორიული ფურცელი უნდა ჩაწეროს. არ ვიცი რატომ, მაგრამ გული მიგრძნობს, ერთადერთ და გადამწყვეტ გოლს მალხაზ ასათიანი გაიტანს. თავისთვის უკვე მესამეს და იმასაც თავით!!! GIORGI

სიმართლე გითხრათ, გული არაფერს მიგრძნობს, მაგრამ GIORGI-ს რასაც უგრძნობს, სიამოვნებით დავეთანხმები, ეგრე იყოს. მეტიც, ოღონდ გავიტანოთ და, თუ გნებავთ, ასათიანი ან ვინმე სხვა ჩვენიანი ორმეტრიან ოფსაიდში იყოს და მსაჯმა ვერ შენიშნოს. ვინც ხმა ამოიღოს...

შედარებაც ძალიან მომეწონა. როგორ თქვა? თავმოჭრილი ბატივითო? კარგი იყო, ოღონდ, გეხვეწებით, შედარებას პირდაპირი მნიშვნელობით ნუ გაიგებთ და სტადიონზე დანით ნუ მიხვალთ.

BOLNISA5 დარწმუნებული ვარ, ჟირესი ჭკვიანურად მოიქცევა და ლამაზ თამაშს კი არ გამოეკიდება, შედეგზე ითამაშებს. დარწმუნებული ვარ, რომ თამაში სანახაობრივად არ ივარგებს და დანიელებს რამდენიმე ისეთი მომენტიც ექნებათ, რომ მაგრა ვინერვიულებთ. მაგრამ ჯანდაბას ნერვიულობა, მთავარი შედეგია და მგონია, რომ საქართველო დანიის შეტევას გაუძლებს და ცოტა იღბალიც თუ გვექნა, ერთ გოლს გავიტანთ. იღბალი თუ არ გვექნა, მაშინ თამაში 0:0 დამთავრდება და ეგეც არ იქნება ცუდი შედეგი.

მეც ამას არ ვამბობ?! როცა საქართველოს ნაკრები თამაშობს, მთავარი შედეგია, სანახაობა კი „კოლჩესტერ“ — „ჩესტერფილდის“ მატჩისას მოვითხოვოთ, მაინც არც ერთს არ ვქომაგობთ.

WEB ოსტატი ბუარა

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი
# ჩვენი მეტოქეები

## თურქეთი – უკრაინა

# მოკვეთილები

## საქართველომ ბულა დააფრთხო, ბლოხინმა ლამურები გაყარა







ბლოხინისგან შერისხული ზოტოვი და ჩერნი





ერსუნ იანალმა ჰაკან შუქური ნაკრებიდან გააძევა

თურქეთთან მატჩის წინ ოლეგ ბლოხინმა ნაკრებიდან სამი ფეხბურთელი გააძევა. არადა, უკრაინელებს ტრავმების გამო პრობლემები ისედაც არ აკლდათ.

დონეცკის „მეტალურგის" ორი მოთამაშე ვიაჩესლავ ჩერნი და ალექსანდრ ზოტოვი, ასევე „ილიჩევეცის" სერგეი ზაკარლიუკა მწვრთნელმა რეჟიმის დარღვევისთვის გუნდიდან დაითხოვა. სამეული ჯერ საღამოს ხუთ საათზე ვარჯიშზე არ გამოცხადდა, შემდეგ შვიდზე ვახშამზეც არ გამოჩნდა და ბაზაზე ღამის ორ საათზე დაბრუნდა.

როცა ზოტოვი სანაკრებოდ გამოიძახეს, დონეცკელი ასე ხარობდა: „ჩემთვის ეს მოულოდნელი და სასიხარულო ამბავია. მე ხომ ნაკრებში ბოლოს ორი წლის წინ მოსკოვში LG-ს თასზე ვითამაშე, როცა მწვრთნელი ლეონიდ ბურიაკი იყო".

აღსანიშნავია, რომ ოლეგ ბლოხინმა ალექსანდრ ზოტოვს და მის დნეპროპეტროვსკელ სეხნია რიკუნს მას შემდეგ უხმო, რაც ორი ტრავმირებული ფეხბურთელი გამოაკლდა — ანატოლი ტიმოშჩუკი („შახტარი") და მიხაილ სტაროსტიაკი (იაროსლავლის „შინიკი").

„როგორი შეუცვლელებიც არ უნდა იყვნენ, ჩერნი, ზოტოვი და ზაკარლიუკა ეროვნულ გუნდში თამაშს ველარ ეღირსებიან" — თქვა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა.

ვიაჩესლავ ჩერნიმ განაცხადა: „თავის მართლებას არ ვაპირებ. დამნაშავეები ვართ, რომ ბაზაზე მისვლა დავაგვიანეთ, მაგრამ ღამის ორ საათზე კი არა, გაცილებით ადრე მივედით. არ მახსოვს, რომელი ჩვენგანის იდეა იყო ბაზიდან წასვლა, მაგრამ მე, ზოტოვი და ზაკარლიუკა ერთ-ერთ სპორტულ ბარში რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩებს ვუყურებდით და ამიტომ შევყოვნდით. დილით ბლოხინმა მშვიდად გვითხრა, რომ ნაკრებიდან გვათავისუფლებს. საწინააღმდეგო არაფერი გვითქვამს, მაგრამ ვნანობთ და ბოდიშის მოხდაც შეგვიძლია".

18 ფეხბურთელიდან, რომლებიც სტამბოლში გუშინ ჩავიდნენ, მატიუხინს, რადჩენკოს და გუსევს მცირე ტრავმები აწუხებთ, სამაგიეროდ, ფორმაშია ანდრეი შევჩენკო.

სანამ თურქებზე მოვყვებით, ოსმალოთა ნაკრებიდან ჰაკან შუქურის მოკვეთაზე ვთქვათ.

ერსუნ იანალმა „ბოსფორის ბულა" დანიასთანაც არ გამოიძახა და არც ამჯერად უხმო. მიზეზი კი... საქართველოსთან მატჩისას მომხდარი უთანხმოებაა.

მაშ ასე, ტრაპიზონი, 4 სექტემბერი, თურქეთი — საქართველო. პირველი ტაიმის შემდეგ გასახდელში შესულმა ჰაკან შუქურმა მწვრთნელს უღრიალა: „ეს თამაში აქ ვინ დანიშნა?" ერსუნ იანალმა უპასუხა: „შენი საქმე არაა, შენ გოლის გატანა გევალება". ჰაკან შუქური: „ტრიბუნები ნახევრად ცარიელია, ტრაპიზონელებს ფეხებზე ვკიდივართ. უმით ოზატს და თუნჯაის აქაურები აგინებენ, რადგან „ფენერბაჩედან" არიან. ბიჭები დაითრგუნენ და როგორ უნდა ითამაშონ? ტრაპიზონში ვინც ჩამოგვიყვანა, პასუხიც იმან აგოს მატჩის შედეგზე". იანალი: „თქვენ პროფესიონალი ფეხბურთელები ხართ და ნებისმიერ ვითარებაში მოსაგებად თამაში გმართებთ".

მეორე ტაიმის დასაწყისში თურქები დაწინაურდნენ, მერე ჰასან შაში გააძევეს და მწვრთნელმა „ბოსფორის ბულა" შეცვალა. ამ შეცვლის შემდეგ შუქურს და იანალს შორის შავი კატების ჯოგმა გაირა.

ნამატჩევს სასტუმროში ჰაკან შუქური ვახშამზე არ ჩავიდა. იანალმა კაცი გაუგზავნა, რომელიც უარით დაბრუნდა. „ბულასთან" ნომერში თავად მწვრთნელი ავიდა. ფეხბურთელი ლოგინზე იწვა და იანალის შესვლაზე წამოდგომაც არ იკადრა. „რატომ არ ჩამოხვედი ვახშამზე?" — ჰკითხა ხოჯამ. „ცუდ ხასიათზე ვარ. ფეხი მტკივა" — მიუგო შუქურმა. კვლავ იანალი: „ორი ქულა დავკარგეთ და ყველანი უხასიათოდ ვართ, მაგრამ გუნდთან ერთად უნდა იყო". „ბოსფორის ბულამ" ყურიც არ შეიბერტყა.

მეორე დღეს იანალმა თქვა, ჰაკან შუქური ტრავმირებულია და ბერძნებთან არ ითამაშებსო, მაგრამ მოჯანყე ვარჯიშზე მაინც გამოცხადდა. მწვრთნელმა გაიკვირვა, შენ ხომ ცუდად ხარ, აქ რა გინდაო. ფორმის შენარჩუნება მსურსო, უპასუხა ფეხბურთელმა. განრისხებულმა ერსუნ იანალმა უთხრა, სანამ მე აქ ვარ, ნაკრების მაისურას ველარ ეღირსებიო.

უშუქურო ოსმალომ ათენში ფრე გაახერხა. სტამბოლში ყაზახეთი გაანადგურა, მერე კი კოპენჰაგენში კაცმეტ. დანიასაც ქულა წაართვა. ერსუნ იანალს ახლა უკვე ემადლიერებიან, მთელი პრობლემა ერთი კაცის მოკვეთით გადაწყვიტაო.

დღეს სტამბოლში, „შუქრუ სარაჯოღლუზე" უკრაინას ძალიან გაუჭირდება. თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ ქომაგებისთვის 40 ათასი დროშა შეუკვეთა, რადგან, მწვრთნელის აზრით, ეს მატჩი უმნიშვნელოვანესია — მოგების შემთხვევაში მასპინძლები ცხრილის სათავეში მოექცევიან.

ერსუნ იანალს ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავს: ძმები ჰალილ და ჰამიტ ალტინტოპები, ნიჰათი, ემრე, გიოქდენიზ კარადენიზი, ფათიჰ ტეკე, დენიზ ბარიში, იბრაჰიმ უზულმეზი ორი დღეა, ოფლს ღვრიან და საუკრაინოდ ქაცვებს ილესავენ. იანალი კი, ცხადია, ანდრეი შევჩენკოს უფრთხის. ეცადეთ, მილანელს ბურთი არ მიალებინოთ, რადგან ყველაფერი მისგან იწყებაო.

**რომან თურქია**

## საბერძნეთი – ყაზახეთი

„ყაზახებთან ჩვენ ფავორიტები ვართ და აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ოღონდ, მოგებაცაა და მოგებაც, მეტოქეს პატივს ვცემთ, მაგრამ მე მხოლოდ დიდი ანგარიშით გამარჯვება მსურს" — თქვა დღევანდელი მატჩის წინ ევროპის ჩემპიონი ბერძნების გერმანელმა მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა.

გაუგეთ „მეფე ოტოს", მის გუნდს ხომ შესარჩევ ჯგუფში ჯერ არ გაუმარჯვია და... არადა, საბერძნეთი ევროპის ჩემპიონია.

„ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განვიცდით. მართალია, სამი ჩატარებული შეხვედრიდან მხოლოდ ორი ქულა გვაქვს, მაგრამ დაკარგული ჯერ არაფერია" — დასძენს რეჰაგელი.

საბერძნეთსა და ყაზახეთის ნაკრებთა სრული შემადგენლობანი ამასწინათ გაგაცანით. უმნიშვნელო ცვლილება მხოლოდ ევროჩემპიონების გუნდშია: რეჰაგელმა ცენტრალური მცველი სოტირიოს კირიაკოსიც მიიწვია და დღეს დაცვის ცენტრში კირიაკოსი და რომაელი ტრაიანოს დელასი დადგებიან.

გერმანელს განსაკუთრებით სტელიოს იანაკოპულოსის და თავდამსხმელ დიმიტრიოს პაპადოპულოსის ეიმედება. აი, კაპიტანი, „ბოლონიას" თეოდოროს ზაგორაკისი თუ დღესაც გავიდა მინდორზე, ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი სრულიად ბერძნულ რეკორდს დაამყარებს — 100 მატჩი ეროვნული გუნდის მაისურით.

ათენის „კარაისკაკი" გადავსებული იქნება. 33 ათასივე ბილეთი, რა ხანია, გაყიდულია და დებიუტანტ ყაზახეთის ნაკრებს ძალიან გაუჭირდება. ამას მოწმობს აზიელთა მწვრთნელ სერგეი ტიმოფეევის სიტყვებიც: „ჩვენ ვეთამაშებით გუნდს, რომელიც ევროპის ჩემპიონია, ჯგუფში თამაში ჯერ არ მოუგია და ამის გაკეთებას ჩვენთან ეცდება. ცხადია, საბერძნეთი ფავორიტია, მაგრამ ერთი ასეთი კითხვაც: გინახავთ, მწვრთნელი ან გუნდი სათამაშოდ წასაგებად გადიოდეს?"

ტიმოფეევმა ნაკრებში ორ დებიუტანტს უხმო: „ჟენისის" ნახევარმცველ მაქსიმ ჟალმაგამბეტოვს და თავდამსხმელ ედუარდ სერგიენკოს. მწვრთნელს გადაწყვეტილი აქვს, დღეს ორივეს ათენში დებიუტი მოუწყოს, კარგ ფორმაში არიანო.

**გიორგი ვაშაკიძე**

### სავარაუდო შემადგენლობები

*საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, კირიაკოსი, დელასი, ფისასი, იანაკოპულოსი, ზაგორაკისი, კარაგუნისი, პაპადოპულოსი, ხარისტეასი, ვრიზასი*

*ყაზახეთი: ნოვიკოვი, ფამილცევი, ლიაპკინი, სმაკოვი, დუბინსკი, ბალტიევი, კარპოვიჩი, ნიზოვცევი, ჟალმაგამბეტოვი, სერგიენკო, აზოვსკი.*

# ალანიაც გადარჩა და ყაველაშვილიც



მიხეილ ყაველაშვილი ოპერაციას გადაურჩა — ასეთი განცხადება გააკეთა ვლადიკავკაზის „ალანიას" ექიმმა ედუარდ ცგოევმა.. ზაფხულში დაშავებულ ქართველ თავდამსხმელს მუხლი მოუშუშდა და უკვე ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს. სავარაუდოდ, ყაველაშვილი სრული დატვირთვით ვარჯიშს წლის ბოლოსლა თუ შეძლებს.

შეგახსენებთ, რომ ყაველაშვილის „ალანიამ" პრემიერლიგაში ადგილი ძლივს შეინარჩუნა და ახლა საახალსეზონოდ ილესავს კბილებს. ოსების თქმით, მომავალი ჩემპიონატისთვის „ალანია" მნიშვნელოვნად გაძლიერდება.

**ლუკა თალაკვაძე**

# დირექტორი არჩილი არ ნებდება

## კიდევ ერთი ცდა, კიდევ ერთი ოპერაცია



*თბილისის „დინამოს", „ტრაბზონსპორის", „ბრედას" და „კიოლნის" ყოფილი შემტევი, 32 წლის არჩილ არველაძე 35-ე საფეხბურთო სკოლის დირექტორად დაინიშნა — ამ თანამდებობაზე ტყუპისცალი თვით თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა წარადგინა. არველაძეს რამდენიმე კითხვით მივმართეთ...*

— ამ საქმეს ფეხბურთის სიყვარულის და ფეხბურთში ყოფნის გამო შევუდგები, თანაც მეც ამ სკოლაში დავდიოდი. ქალაქის მთავრობამ კი ყველანაირი დახმარება აღგვითქვა.

**— უახლოესი გეგმები როგორია?**

— ჯერ მოედნებს უნდა მივხედოთ. როცა მოედანი არ გაქვს, მწვრთნელს რა უნდა მოსთხოვო?! პირველ რიგში მოედნების საკითხია მოსაგვარებელი.

**— მოედნებისთვის საჭირო თანხას ვინ გამოყოფს?**

— სკოლა კვლავაც ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსდება. მერია დახმარებას შეგვპირდა და ამის იმედი გვაქვს.

**— დირექტორად რომ დაინიშნე, ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელის კარიერაზე საბოლოოდ აიღე ხელი?**

— არა, იანვარში მუხლის ხრტილზე კიდევ ერთი ოპერაციის გაკეთებას ვაპირებ — ალბათ ისევ კიოლნის კლინიკაში, თუმც განსხვავებული მეთოდით. მოკლედ, კვლავაც ვაპირებ ფეხბურთის თამაშს.

**დავით თავართქილაძე**

# იდეების ჩემოდანი

## მარჩელო ლიპი: მტრებიც მაქებენ, ესე იგი, ვმუშაობ



*მარჩელო ლიპიმ სადღეისოდ, ფინეთთან ამხანაგური თამაშისთვის ექსპერიმენტული შემადგენლობა გამოიძახა და ამ საქციელის განმარტებაც დასჭირდა. გუშინაც მოგახსენებდით, რომ ნაცვლად „სკუადრა აძურაში“ ნაცადი ვარსკვლავებისა ლიპიმ ამ ჯერზე იხმო „მონაკოს“ მეკარე ფლავიო რომა და სხვა დებიუტანტები: ალესანდრო პარიზი, ანდრეა კარაჩოლო, ანდრეა ბარძალი, ჯორჯო კიელინი და სტეფანი მაური.*

*„ეს მაინც არ არის იტალიის ექსპერიმენტული ნაკრები — ბრძანა ტაქტიკოსმა — მე ნამდვილ გუნდს ვკრებ, ისეთს, რომელსაც მომავალში შესაძლოა, „სკუადრა აძურა“ ერქვას. იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ადრე ნაკრების დონეზე არ გამოგვიცდია, ახლა ახლოდან დავაკვირდები. მე მათ ვგულისხმობ, რომლებიც დღეს სერია A-ში კარგად თამაშობენ. ამიტომ მგონია, რომ ფინელებთან ძალიან მნიშვნელოვანი ტესტი გველის“.*

*საინტერესოა, რომ ლიპის არჩევანი დაიწუნა და გააკრიტიკა „ლეჩეს“ ჩეხმა მწვრთნელმა ზდენეკ ზემანმა, რომელიც დარწმუნებულია, რომ ნაკრების ხელმძღვანელმა ლეჩელი ანტონიო კასეტი მის გამო არ მიიწვია.*

*„ამ ჯენტლმენს ეჭვიანობა სჩვევია, მაგრამ ამჯერად ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ განცხადებას აკეთებს. კასეტი ტაქტიკური მოსაზრებით არ მივიწვიე. ამჯერად ჯორჯო კიელინისა და ალესანდრო პარიზის თამაში მაინტერესებს, ხოლო კასეტი, შესაძლოა, მომავალში ვათამაშო. მერედა, განა შემჩნეულთაგან მხოლოდ კასეტი დარჩა ამჯერად ნაკრებს გარეთ? ვერ მივიწვიე, მაგალითად, ვინჩენცო ლაკინტა და ჯანპიერო პინციც“.*

*ლიპის პრესკონფერენციის დანარჩენ ნაწილს კი კითხვა-პასუხის ფორმით გთავაზობთ*

**— იტალიის ნაკრებს ოც წელიწადზე მეტია, არაფერი მოუგია...**

— ჩემი უპირველესი ამოცანა შესარჩევი ჯგუფიდან გასვლაა. ვფიქრობ, იტალიის ნაკრებს ამის ძალა ნამდვილად შესწევს. პირდაპირ ვიტყვი, ჯგუფის ფავორიტები ჩვენ ვართ, ხოლო ჩვენი მთავარი კონკურენტი ვინ არის, ნორვეგია, სლოვენია თუ ბელარუსი, ჯერ ვერ გამიგია. გერმანიის მუნდიალზე კი, ჩვენ უნდა ვცადოთ, რაც შეიძლება კარგად ვითამაშოთ. კერძოდ, რა და როგორ უნდა იყოს, ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, თუმცა ერთი ფაქტია, ამოცანა გუნდის წინაშე მაქსიმუმის გაკეთება იქნება.

**— რა კრიტერიუმებს ეყრდნობით იმის გათვალისწინებით, რომ თანამდებობა ჯოვანი ტრაპატონისგან გერგოთ მემკვიდრეობით?**

— საფუძვლად ტრაპატონის დროინდელი გუნდი და მისი პრინციპები დავიდე, რომელშიც ახალგაზრდული „სკუადრა აძურადან“ დავიწყე ფეხბურთელების შეყვანა. გარდა ამისა, შევეცადე საქმიანი ურთიერთობები დამემყარებინა საკლუბო მწვრთნელებთან, რათა თავიანთი კანდიდატურების ამბავი მათ მითხრან.

**— ამბობენ, რომ ბოლო წლებში იტალიელი ვარსკვლავები ნაკრებში თამაშის დროს დიდი თავდადებით არ გამოირჩეოდნენ.**

— არ მინდა ვილაპარაკო იმაზე, რაც ადრე იყო, რადგან მაშინ მე აქ არ ვიყავი. სამაგიეროდ, შემიძლია დღევანდელ მდგომარეობაზე გესაუბროთ. მე ნაკრებში იდეებით სავსე ჩემოდანი მოვიტანე და ამის შესახებ, ცხადია, ფეხბურთელებსაც ველაპარაკე. ნაკრების მწვრთნელობის პირველი დღიდან ვცდილობ, ფეხბურთელებს ჩემი დადებითი ენერგია გადავცე და მინდა გითხრათ, რომ პირველსავე დღეს ვნახე, როგორ აენთოთ ფეხბურთელებს თვალები. ერთი სიტყვით, ჩემს ენთუზიაზმს იტალიის ნაკრების მოთამაშეები გაგებით შეხვდნენ და ჩვენ ყველას ერთად გვინდა, „სკუადრა აძურა“ მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ ლიდერად ვაქციოთ.

**— თქვენი ხელმძღვანელობით გუნდმა უკვე ხუთი თამაში ჩაატარა და მაინც გაუგებარია, როგორ ტაქტიკურ სქემას ამჯობინებთ.**

— მეც გამიგია, ნაკრები ყოველ მომდევნო მატჩს ახლებური განლაგებით თამაშობსო. ასე არ არის. მე ორი ძირითადი სქემა მაქვს. პირველია 4-3-2-1, მეორე კლასიკური 4-4-2. სხვა ყველაფერი ამ თემაზე ვარიაციებად შეიძლება ჩავთვალოთ. თუ ჩვენს სისუსტეზე მკითხავთ, გიპასუხებთ, რომ ჯანლუკა ძამბროტას გარდა მარცხენა ფრთაზე ძლიერი ფეხბურთელი არ მყავს და მან რომ ტრავმა მიიღოს, რთულ მდგომარეობაში ჩავვარდებით.

**— ძამბროტა ის ერთადერთი ფეხბურთელია, რომელთანაც ევრო 2004-ის შემდეგ პრეტენზია არავის ჰქონია. თუ არ ვცდებით, „იუვენტუსში“ მარცხენა ფლანგზე ის სწორედ თქვენ ათამაშეთ.**

— მართალია, მარცხნივ 2002-03 წლების სეზონში მე გადავიყვანე. მან მსოფლიოს ჩემპიონატზე სერიოზული ტრავმა მიიღო და რამდენიმე თვის გამოტოვება მოუხდა. მის არყოფნაში მარჯვნივ მაურო კამორანეზიმ მოიკიდა ფეხი და თან ისე, რომ ძამბროტას გამოჯანმრთელებას მისი დიდებულ ფორმაში ყოფნა დაემთხვა. მოკლედ, არჩევანის წინაშე დავდექი. საერთოდ, ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია, შენს წინაშე ჭკვიანი ადამიანი იდგეს და რასაც ეუბნები, გაიგოს. ასეც მოხდა. ძამბროტას ავუხსენი, რომ მისთვის ახალი ფუნქცია მქონდა მოფიქრებული. ვუთხარი, რომ ნაკრებში პაოლო მალდინის ღირსეული შემცვლელიც კი შეიძლებოდა გამხდარიყო და მართლაც, დღეს ეს მარცხენა მცველი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიმაჩნია. ბედნიერი ვარ, რომ ძამბროტამ თავისი შრომით მიაღწია ამას.

**— თქვენ ძალიან დიდხანს იყავით „იუვენტუსის“ მწვრთნელი, ეს გუნდი კი იტალიაში ან სძულთ, ან, უბრალოდ, კერპად ჰყავთ დასახული. ეს საკლუბო წარსული ხელს ხომ არ გიშლით?**

— რომც მიშლიდეს, რას ვიზამდი?! ხომ არ უარვყოფ ამ წარსულს?! ისე, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მცირე ხნით „ინტერშიც“ ვმუშაობდი. საერთოდ, ნაკრების მწვრთნელი საკლუბო სიმპათიებისგან თავისუფალი უნდა იყოს. იცით, ამასწინათ თვით „ფიორენტინას“ („იუვენტუსის“ მთავარი მოძულე) ულტრა-გულშემატკივრების ერთ-ერთმა თავკაცმა შემაქო და მაფიქრებინა, რომ ჩემი საქმე მთლად ცუდადაც არ უნდა იყოს.

**— ამბობენ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელთან, ალექს ფერგიუსონთან მეგობრობთ. ხომ არ შემოუთავაზებია მას „მანჩესტერის“ მწვრთნელობა თანამდებობიდან წასვლის შემდეგ?**

— არ ვიცი, ხუმრობს თუ სერიოზულად ამბობს, მაგრამ ყოველთვის ერთსა და იმავეს მეუბნება: მარჩელო, შენ მე უნდა შემცვალო. ერთი ეგაა, თვითონ არ უნდა თანამდებობიდან წასვლა... ხუმრობა იქით იყოს და, აქ დიდი პრობლემა მაქვს — ინგლისური ისე კარგად არ ვიცი, უთარჯიმნოდ გადმოვცე ჩემი იდეები, თარჯიმნის საშუალებით გადმოცემული იდეებისა კი არ მჯერა. მეშინია კიდეც იმის წარმოდგენა, რა მოხდებოდა თურქეთის ფეხბურთის ფედერაციას რომ დავთანხმებოდი და შესარჩევი ეტაპის წინ ამ ქვეყნის ნაკრებს ჩავდგომოდი სათავეში.

**— როდის გელოდოთ ისევ საკლუბო ფეხბურთში?**

— ჯერ ნაკრებში მუშაობა მაცადეთ... კონტრაქტი ორიწლიანი მაქვს, თუმცა მინდა ამ სამსახურში ოთხი ან ექვსი წლით დავრჩე.

**— ახლოვდება ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის დასახელების დრო...**

— მე რომ ჟურნალისტი ვიყო, ხმას ანდრეი შევჩენკოს მივცემდი. ფიფას გამოკითხვაშიც სწორედ შევჩენკო ჩავწერე.



# კმაყოფილი და შეროცხვენილი მონტელა

*ვინჩენცო მონტელა, რომელსაც ამ სეზონში გოლი გოლზე გააქვს და ნაკრებშიც კი ბრუნდება, ამბობს, რომ „რომას“ წარუმატებლობებით გამოწვეული წუხილი პირადი წარმატებებით გამოწვეულ სიხარულს ფარავს*



„ძალიან კმაყოფილი ვარ, „სკუადრა აძურაში“ რომ მიწვევენ. ეს სწორედ ის მიზანი იყო, რომელიც გასულ ზაფხულს დავუსახე ჩემს თავს, თუმცა კლუბში რომ ასეთი ცუდი მდგომარეობა გვაქვს, უბრალოდ მრცხვენია“ — უთხრა თავდამსხმელმა ტელეარხ TG5-ს.

მოგეხსენებათ, „რომამ“ ზაფხულიდან მოყოლებული უკვე ორი მწვრთნელის, ჩეზარე პრანდელისა და გერმანელი რუდი ფიოლერის გაშვება მოასწრო და ახლა ლუიჯი დელ ნერი ცდილობს საკმაოდ არეული ვითარების დალაგებას, თუმცა ძალიან უჭირს. კვირას რომაელებმა რეჯო კალაბრიაში წააგეს და ეს 12 თამაშში მათი მეხუთე მარცხი გახლდათ.

„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ჩვენ სახე, საკუთარი იერი აღარ გვაქვს — დასძენს მონტელა — გარდა ყველაფრისა, ჩვენზე ძალიან იმოქმედა ტრავმებმაც, რამაც ნათლად დაგვანახა, რომ ჩვენ არჩევანშიც საკმაოდ შეზღუდულები ვართ“.

შემდეგ თავდამსხმელს ახალ მწვრთნელზე ჰკითხეს.

„დელ ნერი? ის ჯერჯერობით იმედგაცრუებულია, რადგან სულ გამოსავლის ძებნაშია, მაგრამ ჯერ არაფერი გამოდის“ — მიუგო მონტელამ, რომელიც 12 ტურის შემდეგ ანდრეი შევჩენკოს და ადრიანოსთან ერთად ლიდერობს ბომბარდირა რბოლაში, ამ სამეულს ცხრა-ცხრა გოლი აქვს გატანილი.

„შევჩენკო და ადრიანო განსაკუთრებული ფეხბურთელები არიან. წლეულს ორივე ღირსია „ოქროს ბურთი“ რომ მოიგოს, თუმცა ყველაზე მეტად ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო მაინც უკრაინელისთვის მემეტება. მან ბოლო წლებში ძალიან ბევრს მიაღწია“ — დასძინა რომაელმა.

**პაპუნა ძიდია**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მტაპი. ევროპა

V ტური. 17 ნოემბერი

I ჯგუფი

ანდორა — ჰოლანდია
სომხეთი — რუმინეთი
მაკედონია — ჩეხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 9 |
| ფინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:6 | 9 |
| ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ჩეხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| მაკედონია | 4 | 1 | 1 | 2 | 6:5 | 4 |
| ანდორა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:8 | 3 |
| სომხეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | 0 |

III ჯგუფი

ლუქსემბურგი — პორტუგალია
ლიხტენშტაინი — ლატვია
რუსეთი — ესტონეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 4 | 3 | 1 | 0 | 15:3 | 10 |
| სლოვაკეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 15:3 | 10 |
| ესტონეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:7 | 7 |
| რუსეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:8 | 4 |
| ლატვია | 4 | 1 | 1 | 2 | 7:11 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:11 | 4 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:19 | 0 |

IV ჯგუფი

კვიპროსი — ისრაელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 4 | 2 | 2 | 0 | 6:1 | 8 |
| საფრანგეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:0 | 8 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 2 | 0 | 9:3 | 5 |
| ისრაელი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| კვიპროსი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | 1 |
| ფარერები | 4 | 0 | 1 | 3 | 2:12 | 1 |

VII ჯგუფი

ბელგია — სერბეთი
სან მარინო — ლიტვა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:0 | 7 |
| ლიტვა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:1 | 5 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| ბოსნია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ბელგია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:12 | 0 |

VIII ჯგუფი

მალტა — უნგრეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 14:2 | 9 |
| ბულგარეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 7 |
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | 3 |
| ისლანდია | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | 1 |
| მალტა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:11 | 1 |

## გუშინ

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მტაპი. აზია

II ჯგუფი. VI ტური

ერაყი 4:1 პალესტინა

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

I ჯგუფი

სომხეთი 0:5 რუმინეთი

III ჯგუფი

რუსეთი 3:0 ესტონეთი
ლუქსემბურგი 1:6 პორტუგალია

IV ჯგუფი

კვიპროსი 0:1 ისრაელი

VI ჯგუფი

გერმანია 1:1 პოლონეთი

VII ჯგუფი

ბელგია 4:0 სერბეთი
სან მარინო 1:2 ლიტვა

VIII ჯგუფი

მალტა 0:2 უნგრეთი

### გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი

ფოიხტი 0:1 ვეჰენი

### საფრანგეთი

II დივიზიონი
გადადებული მატჩი

გენიონი — ტრუა (0:1-ზე შეწყდა)

### ავსტრია

I დივიზიონი
გადადებული მატჩი

ვიორგლი 0:2 კერნტენი

### რუსეთი

თასის 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი

ამკარი 0:0 ტერეკი (1:0)

# ამხანაგური მატჩები. დღეს

## გერმანია – კამერუნი

### გერმანია

ლემანი, ვოლცი, ჰუთი, მერტესაკერი (ვიორნსი), ლამი, შნაიდერი, ფრინგსი, ერნსტი, ბალაკი, კურანი, ასამოა

# გერმანიამ იუბილეზე ლომები დაპატიჟა





მორის ვოლცი ბუნდესნაკრების დებიუტანტია, კევინ კურანი კი იურგენ კლინსმანს გამოჯანმრთელებული დაუბრუნდა



კამერუნელთა გერმანელი ლომი: ვინფრედ შეფერი

**დღეს** ლაიპციგში გერმანიის ნაკრები საიუბილეო, 750-ე მატჩს გამართავს — იურგენ კლინსმანის გუნდს ვინფრედ შეფერის კამერუნი ესტუმრება.

მასპინძლებს ოთხი ფეხბურთელი დააკლდებათ. ანდრეას ჰინკელი, არნე ფრიდრიხი, ანდრეას გიორლიცი და ფრანკ ფარენჰორსტი ტრავმირებულნი არიან, ხოლო კრისტიან ვიორნსის თამაში საეჭვოა. დაშავებულთა შესაცვლელად მწვრთნელმა სამ პრემიერლიგელს უხმო. რობერტ ჰუთს „ჩელსიდან", ტომას ჰიცლშპერგერს „ასტონ ვილადან" და მორის ვოლცს „ფულემიდან", რომელიც პირველად გამოიძახეს ბუნდესნაკრებში.

ევებ დღეს ვოლცის დებიუტიც შედგეს. იურგენ კლინსმანმა განაცხადა, რომ დიდი ხანია, ფულემელ მცველს აკვირდება და „ასტონ ვილას" მწვრთნელთან საუბრის შემდეგ ფეხბურთელის მიწვევა გადაწყვიტა. ვოლცის მხარდამხარ დაცვაში, სავარაუდოდ, რობერტ ჰუთი, პერ მერტესაკერი და ფილიპ ლამი ითამაშებენ.

ირანთან გამართულ წინა ამხანაგურ შეხვედრაში ტრავმის გამო გუნდს კევინ კურანი აკლდა, ამჯერად შტუტგარტელი ძირითად შემადგენლობაში იქნება ჯერალდ ასამოასთან ერთად. რაც შეეხება მეკარეებს, კარში ალბათ იენს ლემანი ჩადგება.

**ვაჟა ხუციშვილი**



ლუის არაგონესი

## ესპანეთი – ინგლისი

### ესპანეთი

კასილიასი, სალგადო, ხუანიტო, მარჩენა, დელ ორნო, ხოაკინი, ხაბი ალონსო, ხავი, რეიესი, რაული, ტორესი

### ინგლისი

რობინსონი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ტერი, ე. კოული, ბექემი, ბათი, ლამპარდი, ბრიჯი, ოუენი, რუნი

# სვენ გორან ერიკსონს მადრიდელები უხარია

## არაგონესი ინგლისთან მემარჯვენეებს გამოცდის



სვენ გორან ერიკსონი

დევიდ ბექემი და მაიკლ ოუენი დღეს „სანტიაგო ბერნაბეუზე" სტუმრები იქნებიან, რადგან ინგლისი მადრიდს ამხანაგურად სათამაშოდ ესტუმრა.

დევიდ ბექემი უელსთან მოგებული მატჩის შემდეგ დაშავდა და ახლაღა გამოკეთდა, მაიკლ ოუენი კი, რა ხანია, „რეალს" გაუშინაურდა და გოლების გატანაც დაიწყო, რაც სვენ გორან ერიკსონს ძალიან ახარებს: „ძალიან კარგია, რომ ორივე ფორმაშია. მათთვის განსაკუთრებული შეხვედრა იქნება, რადგან „სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშობენ".

ინგლისელებს ჯო კოული და სოლ კემპბელი დააკლდებათ. დაცვის ცენტრს, სავარაუდოდ, რიო ფერდინანდი და ჯონ ტერი ჩაიბარებენ, შეტევაში კი ოუენ-რუნის წყვილს გაამწესებენ.

ლუის არაგონესმა საამატჩოდ „ვალენსიადან" მიგელ ანხელ ანგულო გამოიძახა, რომელიც პირველად მოხვდა ნაკრებში. მადრიდის „რეალის" ივან ელგერა და „ბარსელონას" კარლეს პუიოლი დაშავებულნი არიან, მათი თამაში საეჭვოა. არაგონესმა ბილბაოს „ატლეტიკიდან" ნახევარმცველ პაბლო ორბაისს, ხოლო „ბეტისიდან" ხუანიტოს უხმო. ესპანელთა მწვრთნელმა თქვა: „მარჯვენა ფლანგზე რამდენიმე ფეხბურთელის გამოცდა მსურს, სადაც ხოაკინი, ვიქტორ სანჩესი და ეჩებერია უკვე შევამოწმე. ახლა ანგულოა ფორმაში და ამიტომაც მოვიწვიე".

ნაკრებს მიღმა დარჩნენ დაშავებული დავიდ ალბელდა და ვისენტე, ხოლო ბარაზა მასპინძელთა თავკაცმა ამჯერად ტაქტიკურ მოსაზრებათა გამო არ იახლა.

**ვაჟა ხუციშვილი**



### ამხანაგური მატჩები

ირლანდია 1:0 ხორვატია

ახალგაზრდულები (U-21)

ბულგარეთი 0:2 იტალია
ესპანეთი 1:0 ინგლისი
შოტლანდია 1:2 შვედეთი

### სავარაუდო შემადგენლობები

**იტალია – ფინეთი**

**იტალია**: რომა, ბონერა, მატერაცი, კიელინი, ძაკარდო, დიანა, დე როსი, ბლაზი, ესპოზიტო, მონტელა, ტონი

**საფრანგეთი – პოლონეთი**

**საფრანგეთი**: ლანდრო, სანიოლი, გივე, სკილაჩი, ევრა, ვიეირა, პედრეტი, მავუბა, ჟიული, ანრი, საა

**შოტლანდია – შვედეთი**

**შოტლანდია**: მარშალი, მიურეი, ანდერსონი, პრესლი, მაკნაფტონი, ფლეტჩერი, ქვოში, მაკნამარა, მაკფადენი, მილერი, კროუფორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა




მანჩესტერელი ფანობა მალკოლმ გლეიზერს კლუბს არ ანებებს



# ამერიკელი არ ცხრება

## გლეიზერმა მანჩესტერს დოიჩე ბანკიდან მოუარა

*ამერიკელი მილიარდერი მალკოლმ გლეიზერი კვლავაც ცდილობს „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელში ჩაგდებას. გლეიზერს თითქოს საბოლოოდ ჩაეშალა საკონტროლო პაკეტის ხელში ჩაგდების ოპერაცია განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „ჯპ მორგანის" ბანკმა ის უკუაგდო, როგორც კლიენტი*

**მაგრამ** ახლა გლეიზერს ახალი ბანკი უშოვნია: ინგლისური გაზეთების მოწმობით, ამერიკელი „დოიჩე ბანკს" ელეპარაკება და, შესაძლოა, საჭირო კრედიტიც მიიღოს. გლეიზერმა „მანჩესტერის" აქციების 9 პროცენტი იყიდა ბოლო თვეს და ამით ძალიან გაზარდა ამ კლუბის აქციების ფასი ბირჟაზე. მათი მომავალი მყიდველიც თვითონაა და ბანკებიც ამისთვის სჭირდება. თუმცა, ექსპერტების აზრით, წარმატების შანსი ცოტაა.

ამის მიუხედავად, ინგლისურმა გაზეთებმა დაწერეს, რომ „დოიჩე ბანკი" ალბათ ჩაერთვება საქმეში, რაც „მანჩესტერს" უიარაღოდ დატოვებს. კლუბის მხრიდან საქმეში ჩართულია საფეხბურთო ლიგის ყოფილი თავმჯდომარე, აწ ექსპერტი კიტ ჰარისი. ეს ის კაცია, ვინც აბრამოვიჩი-„ჩელსის" შეთანხმების ბროკერი იყო. ახლა ჰარისი „მანჩესტერის" გულშემატკივართა ერთობას მრჩევლობს, რათა გლეიზერს როგორმე ხელი შეუშალონ კლუბის დათრევაში.

ჰარისი იმედოვნებს, რომ ბანკები ჯიბეს არ გაუხსნიან გლეიზერს, რადგან დიდი კრედიტის კვალად, რისკიც ძალიან დიდია. რას და როდის მოიგებენ ბანკები, თუკი გლეიზერს ფულს მისცემენ?

ამერიკელი უკვე „მანჩესტერის" წილების 28,11 პროცენტს ფლობს და გვარიანი გავლენაც აქვს მის საბჭოში. გასულ კვირას, მან კლუბის სამი დირექტორის ხელახალ არჩევას შეუშალა ხელი.

თუმცა, ჰარისი მაინც ამბობს, რომ არ სჯერა იმისა, რომ გლეიზერი კლუბის ხელში ჩაგდებას მოახერხებს.

„მას ძალიან ბევრი ფული აქვს და ბევრის სესხებასაც აპირებს. ამ ფულით მას ყველაფრის ყიდვა შეუძლია, მაგრამ კლუბის ყველა გულშემატკივარი მისი წინააღმდეგია. ეს წინააღმდეგობა მარადიული იქნება. რად უნდა ისეთი საქმე, რომელიც დროთა განმავლობაში კლებას დაიწყებს? ეს კი ასე იქნება. კლუბი გულშემატკივრებია" — მიაჩნია ჰარისს.

**ირაკლი გამყრელიძე**



ლუიჯი დელ ნერი

# რა დროს გადადგომაა?!

მიუხედავად „რომას" პრობლემებისა, მწვრთნელი, ლუიჯი დელ ნერი თანამდებობიდან წასვლას არ აპირებს.

„გადადგომაზე ერთხელაც არ მიფიქრია — განაცხადა „კოვოს" ყოფილმა თავკაცმა — მწვრთნელი იმისთვისაა, გუნდს მაქსიმუმი რომ მისცეს და მეც დარწმუნებული ვარ, „რომასთვის" ბევრის გაკეთება შემიძლია".

საქმე ის გახლავთ, რომ იტალიურ პრესაში აქა-იქ გაჩნდა ცნობები, თითქოს „რომას" შეფები დელ ნერის გაშვებას აპირებენ.

„ჩვენ გვჯერა იმ პროექტისა, რომელიც შევიმუშავეთ და ვიცით, რის მიღწევასაც ვაპირებთ" — განმარტა დელ ნერიმ.

**ბაჩუნა ქედია**

# დამაბრუნეთ ინტერში!

## ფიორე მანჩინიზე ოცნებობს

*გ ზაკვალარეული იტალიელი ფეხბურთელი სტეფანი ფიორე „ინტერს" სთხოვს, იანვრის სატრანსფერო ფანჯარის დღეებში მის ახლანდელ კლუბს, ესპანურ „ვალენსიას" მისი ტრანსფერი შესთავაზოს. საქმე ის არის, რომ ფიორე ესპანურ ფეხბურთს ან უფრო სწორად, „ვალენსიას", ვერაფრით შეეწყო:*

„მატყუარა ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ისევ რობერტო მანჩინის ხელმძღვანელობით მუშაობაზე არ ვოცნებობ. მე ყოველთვის კარგად ვთამაშობდი, როდესაც მწვრთნელად მანჩინი მყავდა და ვიცი, რომ მას ჩემი სწამს. ხოლო, როდესაც მწვრთნელს ფეხბურთელის სწამს, იგიც ყოველთვის კარგი თამაშით უფასებს რწმენას" — ამბობს ნახევარმცველი, რომელიც „ლაციოში" ორი სეზონის მანძილზე, მანჩინის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი გახლდათ. შემდეგ, რომაულ კლუბში შექმნილმა რთულმა ფინანსურმა მდგომარეობამ შეფებს მოთამაშის გაყიდვისკენ უბიძგათ და ფიორე ესპანურ „ვალენსიას" 23 მილიონ დოლარად მიჰყიდეს, სადაც „პარმასა" და „უდინეზეში" ნათამაშევმა ფეხბურთელმა თანამემამულე მწვრთნელთან, კლაუდიო რანიერისთან ვერ ააწყო ურთიერთობა.

„ინტერთან" დაკავშირებული ამბებიდან ნაკლებად სარწმუნო გახლავთ ის, რომ იანვარში „შავლურჯები" „მანჩესტერ იუნაიტედს" რაიან გიგზში ემრეს გაუცვლიან. მოგეხსენებათ, „იუნაიტედმა" გიგზს ახალი ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, რაც ფეხბურთელმა იუკადრისა და ამბობენ, რომ ამ ამბავმა „ინტერის" მფლობელ მასიმო მორატის ხსენებული იდეა მიაწოდა.




**ბაჩუნა ქედია**

### საფრანგეთი

II დივიზიონი
XVI ტური

**ბრესტი 1:1 დიჟონი**

1:0 მასპიმბი (1), 1:1 ლორანი (37)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 16 | 10 | 2 | 4 | 26:16 | 32 |
| გენიონი | 15 | 6 | 8 | 1 | 13:7 | 26 |
| სედანი | 16 | 7 | 5 | 4 | 14:12 | 26 |
| ბრესტი | 16 | 6 | 7 | 3 | 19:15 | 25 |
| ტრუა | 15 | 7 | 3 | 5 | 22:19 | 24 |
| ამიენი | 16 | 6 | 5 | 5 | 18:17 | 23 |
| კლერმონი | 16 | 5 | 7 | 4 | 21:16 | 22 |
| მონპელიე | 16 | 6 | 4 | 6 | 15:13 | 22 |
| ლე მანი | 16 | 6 | 4 | 6 | 18:17 | 22 |
| გრენობლი | 16 | 5 | 7 | 4 | 20:21 | 22 |
| ლავალი | 16 | 6 | 4 | 6 | 16:17 | 22 |
| დიჟონი | 16 | 5 | 6 | 5 | 17:16 | 21 |
| შატორუ | 16 | 4 | 9 | 3 | 14:13 | 21 |
| რეიმსი | 16 | 5 | 5 | 6 | 18:25 | 20 |
| ანჟე | 16 | 4 | 6 | 6 | 15:17 | 18 |
| გენგამი | 16 | 5 | 3 | 8 | 19:23 | 18 |
| ნიორი | 16 | 6 | 0 | 10 | 17:22 | 18 |
| ლორიანი | 16 | 5 | 2 | 9 | 19:25 | 17 |
| ლე ავრი | 16 | 4 | 4 | 8 | 12:16 | 16 |
| კრეტეი | 16 | 4 | 3 | 9 | 15:21 | 15 |

### პორტუგალია

სუპერლიგა
X ტური

**რიუ ავე 1:1 გიმარაეში**

1:0 ევანდრო (45), 1:1 ალექსი (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 10 | 6 | 4 | 0 | 18:6 | 22 |
| ბენფიკა | 10 | 6 | 3 | 1 | 16:7 | 21 |
| სეტუბალი | 10 | 6 | 2 | 2 | 16:12 | 20 |
| მარიტიმუ | 10 | 5 | 3 | 2 | 13:9 | 18 |
| სპორტინგი | 10 | 5 | 2 | 3 | 20:12 | 17 |
| ბოავიშტა | 10 | 5 | 2 | 3 | 12:12 | 17 |
| ბრაგა | 10 | 4 | 4 | 2 | 13:10 | 16 |
| ბელენენსეში | 10 | 4 | 2 | 4 | 19:16 | 14 |
| რიუ ავე | 10 | 2 | 7 | 1 | 10:10 | 13 |
| ლეირია | 10 | 3 | 4 | 3 | 11:12 | 13 |
| ეშტორილი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:14 | 12 |
| ნასიონალი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:14 | 11 |
| აკადემიკა | 10 | 3 | 1 | 6 | 9:13 | 10 |
| პენაფიელი | 10 | 3 | 1 | 6 | 10:22 | 10 |
| გიმარაეში | 10 | 2 | 3 | 5 | 7:10 | 9 |
| ბეირა მარი | 10 | 2 | 3 | 5 | 13:20 | 9 |
| მორეირენსე | 10 | 1 | 4 | 5 | 7:15 | 7 |
| ჟილ ვისენტე | 10 | 1 | 2 | 7 | 8:14 | 5 |

### გერმანია

II ბუნდესლიგა
XIII ტური

**[illegible]ერჰახინგი 1:3 კიოლნი**

1:0 ჩ. აკონორი (40), 1:1 ბროკერი (50), 1:2 ვოიგტი (63), 1:3 სტრაიტი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 13 | 9 | 2 | 2 | 25:15 | 29 |
| დუისბურგი | 13 | 9 | 1 | 3 | 20:12 | 28 |
| ფიურტი | 13 | 8 | 3 | 2 | 17:8 | 27 |
| ალემანია | 13 | 6 | 4 | 3 | 26:12 | 22 |
| მიუნხენი | 13 | 5 | 4 | 4 | 20:19 | 19 |
| ბურგჰაუზენი | 13 | 5 | 3 | 5 | 18:16 | 18 |
| ალენი | 13 | 4 | 6 | 3 | 15:14 | 18 |
| ტრირი | 13 | 4 | 6 | 3 | 17:18 | 18 |
| ზაარბრიუკენი | 13 | 5 | 2 | 6 | 18:16 | 17 |
| აუე | 13 | 5 | 2 | 6 | 18:16 | 17 |
| უნტერჰახინგი | 13 | 5 | 1 | 7 | 19:20 | 16 |
| კოტბუსი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:14 | 16 |
| აინტრახტი | 13 | 4 | 3 | 6 | 23:25 | 15 |
| კარლსრუე | 13 | 3 | 5 | 5 | 15:18 | 14 |
| ერფურტი | 13 | 3 | 5 | 5 | 6:16 | 14 |
| ესენი | 13 | 2 | 6 | 5 | 19:25 | 12 |
| დინამო | 13 | 3 | 2 | 8 | 15:25 | 11 |
| ობერჰაუზენი | 13 | 2 | 3 | 8 | 13:27 | 9 |

### ჩეხეთი

გამბრინუსლიგა
XIII ტური

**ოპავა 1:1 ლიბერეცი**

0:1 პოსპიშილი (9), 1:1 მელინიო (26)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 13 | 10 | 2 | 1 | 27:9 | 32 |
| ტეპლიცე | 13 | 8 | 5 | 0 | 16:6 | 29 |
| ლიბერეცი | 13 | 6 | 4 | 3 | 18:7 | 22 |
| იაბლონეცი | 13 | 6 | 4 | 3 | 15:11 | 22 |
| სიგმა | 13 | 7 | 1 | 5 | 16:14 | 22 |
| სლავია | 13 | 6 | 3 | 4 | 17:11 | 21 |
| ბანიკი | 13 | 4 | 5 | 4 | 16:19 | 17 |
| დრნოვიცე | 13 | 4 | 3 | 6 | 15:16 | 15 |
| ბრნო | 13 | 4 | 3 | 6 | 11:16 | 15 |
| ზლინი | 13 | 3 | 5 | 5 | 11:16 | 14 |
| ბლშანი | 13 | 3 | 3 | 7 | 7:16 | 12 |
| ოპავა | 13 | 2 | 5 | 6 | 14:19 | 11 |
| პრჟიბრამი | 13 | 3 | 2 | 8 | 12:26 | 11 |
| ბუდეიოვიცე | 13 | 2 | 4 | 7 | 11:15 | 10 |
| ბოლესლავი | 13 | 2 | 4 | 7 | 9:18 | 10 |
| სლოვაცკო | 13 | 5 | 5 | 3 | 12:8 | 8 |

*„სლოვაცკოს" დაკლებული აქვს 12 ქულა*

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XI ტური

# ბრაზილია დაფრინავს, ბრაზილია არ დადის

## პარეირამ ტაქტიკა თვითმფრინავში მოიფიქრა

## პეკერმანს ტევესის არ სჯერა

*თხრობა არასამსოფლიოჩემპიონატო, თუმც სამხრეთამერიკული თემით დავიწყოთ: ბუენოს აირესში განთქმულმა პარაგვაელმა მეკარემ, ხოსე ლუის ჩილავერტმა ბენეფისი მოიწყო და თავისი „ველეს სარსფილდი" სამხრეთ ამერიკის ვარსკვლავთა ნაკრებს გააჯიბრა. ვარსკვლავთა ნაკრებში ითამაშეს ახლო წარსულის დიდმა ფეხბურთელებმა ივან სამორანომ, ენცო ფრანჩესკოლიმ, კარლოს ვალდერამამ და რენე იგატამ.*

*თამაში ვარსკვლავთა ნაკრებს 2:1 მიჰყავდა და ბოლოსკენ, ანგარიში რომ გათანაბრებულიყო, პენალტი იჩალიჩეს, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ჩილავერტმა დაარტყა და გაიტანა. ეს მეკარის 56-ე გოლი იყო კარიერაში და შევნიშნოთ, რომ ამათგან ნახევარზე ცოტა მეტი თუ არის პენალტით გატანილი, დანარჩენი საჯარიმო დარტყმებითაა.*

*ახლა კი, როცა ჩილავერტის ამბავი მოვყევით, მშვიდად ვთქვათ მთავარი: სამხრეთ ამერიკაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეთერთმეტე ტურია*

ჩილავერტმა ერთიც გაიტანა და წავიდა



## არგენტინა – ვენესუელა

### არგენტინა

აბონდანსიერი, ძანეტი, კოლოჩინი, მილიტო, სორინი, ლ. გონსალესი, კამბიასო, სოლარი, რიკელმე, სავიოლა, ფიგეროა

თუ ვინმეს დავარქმევთ ამ ტურში უპირობო ფავორიტს, არგენტინას. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები მუნდიალზე უთამაშებელ ვენესუელას მასპინძლობენ, რომელთანაც ყველა წინა შეხვედრა მოგებული აქვთ. დღეისთვის არგენტინა ცხრილში მეორეა, მაგრამ ბრაზილიამ კიტოში თუ ვერ მოიგო...

დიახ, ისტორია გვიყვება, რომ არგენტინას არასდროს უჭირდა ვენესუელელთა დამარცხება, მაგრამ ხოსე პეკერმანი, როგორც გამოცდილ მწვრთნელს შეშვენის, მაინც ფრთხილ კომენტარებს აკეთებს, უფრო კი იმას უსვამს ხაზს, ჩვენი მეტოქე ბოლო ხანს შთამბეჭდავად თამაშობს, აშკარად ალმავლობის გზას ადგასო.

„მათ საუკეთესო დროება უდგათ თავის ისტორიაში. ისინი გასაოცრად კარგად თამაშობენ სტუმრად და ეს ყველაფერი იმის მანიშნებელია, რომ რიკარდო პაესმა უდიდესი სამუშაო გასწია" — თქვა პეკერმანმა.

და ისევ ისტორია: არგენტინა და ვენესუელა აქამდე 13-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს, უმსხვილესი ანგარიშით კი არგენტინელებს 1975 წელს ჰყავთ დამარცხებული მეტოქე — 11:0.

ვენესუელელთა ბოლო სტუმრობა ბუენოს აირესში კი მათი მორიგი რბევით — 5:0 დასრულდა.

მიუხედავად ამგვარი უიმედო ფაქტებისა, პაესი ირწმუნება, არგენტინის წინააღმდეგ დიდი ძალით ვაპირებთ შეტევასო.

„დაცვითი ფეხბურთი ჩვენი სტილი არ არის. ჩვენ შევუტევთ, რაკი შედეგის მიღწევის ერთადერთ სწორ გზად ეს მიგვაჩნია" — განაცხადა ვენესუელელთა მწვრთნელმა.

შეტევა, ცხადია, კარგია, მით უფრო, რომ არგენტინელებს დაცვის ხაზი მოშლილი აქვთ. კაპიტანი რობერტო ფაბიან აიალა ჯერაც მტკივან მუხლს მკურნალობს, ვალტერ სამუელი და გაბრიელ ჰაინცე კი დისკვალიფიცირებულნი არიან. ორივემ მეორე გაფრთხილებები წინა თვეში, ჩილესთან უგოლო მატჩისას მიიღეს.

იგივე ამბები ხდება არგენტინელთა ნახევარდაცვაშიც. პაბლო აიმარი და კილი გონსალესი დაშავებულები არიან, ვუნდერკინდად მიჩნეული 20 წლის კარლოს ტევესი კი ველარ ვუნდერკინდობს — მეტიც, ბოლო ხანს ისე ცუდად თამაშობს, რომ პეკერმანმა ნაკრების კარი მიუხურა.

სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს რეალელი სანტიაგო სოლარი, ვისაც წლეულს ნაკრებში მხოლოდ 45 წუთი აქვს ნათამაშები.

ვენესუელის ნაკრები ბუენოს აირესში უძლიერესი შემადგენლობით ჩადის, მაგრამ როგორც თავში მოგახსენეთ, უპირობო ფავორიტი მაინც არგენტინაა.



კარლოს ტევესი

## ეკვადორი – ბრაზილია

### ბრაზილია

დიდა, კაფუ, ჟუანი, როკე ჟუნიორი, რობერტო კარლოსი, ჟუნინიო პერნამბუკანო, ბაპტისტა, ზე რობერტო, კაკა, რონალდინიო, რონალდო

არგენტინის ნაკრებზე თხრობისას, სიტყვამ მოიტანა და წამოგვცდა, ბრაზილიამ კიტოში თუ ვერ მოიგო, ჯგუფის ლიდერი არგენტინა გახდებაო.

ბრაზილიის ნაკრები ობიექტურად ეკვადორისაზე ბევრად ძლიერია და უხერხულობა მხოლოდ ორმა გარემოებამ შეიძლება შეუქმნას. ამათგან ერთი გარემოება ძველი და საყოველთაოდ ცნობილია: კიტო ზღვის დონიდან იმ სამაღლეზეა, სუნთქვა ჭირს და იქ თამაში ყველას უჭირს. მეორე გარემოებად კი ბრაზილიელთა მომქანცველი მგზავრობა შეგვიძლია მივიჩნიოთ.

მარშრუტი ასეთია: ორშაბათს საღამოს „ევროპელი" ბრაზილიელები ატლანტიკის გადაკვეთით და მაიამიში შუალედური დაფრენით ეკვადორში ჩავიდნენ. მგზავრობას მთელი დღე დასჭირდა და ვარჯიშიც, ცხადია, გაუცდათ. ნაკრები ტროპიკულ ქალაქ გუაიაკილში დაბანაკდა, სადაც გუშინ ივარჯიშა, დღეს კი კიტოში თამაშამდე ოთხი საათით ადრე ჩავა.

ისიც გავიხსენოთ, რომ რონალდინიოს, რონალდოს და რობერტო კარლოს ამ მომქანცველი წინ და უკან მგზავრობის მერე უქმეებზე „სუპერკლასიკო" ელით.

ბრაზილიელთა ბოლო სტუმრობა კიტოში კი, სამი წლის წინ, მათი მარცხით, 0:1 დასრულდა. ეს ბრაზილიელთა პირველი მარცხი იყო ეკვადორთან.

ბრაზილიელთა სირთულეები კი ჩამოვთვალეთ, მაგრამ მათ მწვრთნელს კარლოს ალბერტო პარეირას სწამს, 2004 წელს ჯგუფის ლიდერად დავასრულებთო: „იმის ილუზია, რომ იოლი თამაში გველის, არ გვაქვს, მაგრამ ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებაა და ამას შევძლებთ".

ეკვადორს ამ შესარჩევ ციკლში ოთხი მოგება აქვს და ოთხივე კიტოში მოიგო.

ეკვადორელთა სამი წლის წინანდელი გამარჯვება ვახსენეთ. იმ მატჩის მონაწილე იყო კაპიტანი ივან ურტადო, ვინაც იხსენებს: „ის გამორჩეული თამაში იყო. დღემდე თვალწინ მიდგას გახარებული ხალხი, ტრიბუნებზე რომ აღნიშნავდნენ ისტორიულ გამარჯვებას. საერთოდ, ყველა მატჩის მოგებას თავისი ფასი აქვს, ბრაზილიის დამარცხება კი ფასდაუდებელი რამაა".



ეკვადორელები სამი წლის წინანდელ 1:0-ზე ოცნებობენ

საინტერესოა მსაჯის ამბავიც. მატჩს კოლუმბიელი ოსკარ რუისი გაანსჯის, ვინაც ბრაზილიელთა წინა ორი მატჩის მსაჯობისას ისინი ოთხი პენალტით დააჯილდოვა: სამჯერ ივნისში არგენტინასთან შეხვედრისას, ერთხელაც ივლისში მექსიკასთან კოპა ამერიკაზე.

### ქოტე ქექელია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 10 | 5 | 5 | 0 | 19:10 | 20 |
| არგენტინა | 10 | 5 | 4 | 1 | 18:9 | 19 |
| პარაგვაი | 10 | 4 | 4 | 2 | 12:10 | 16 |
| ეკვადორი | 10 | 4 | 1 | 5 | 11:11 | 13 |
| ჩილე | 10 | 3 | 4 | 3 | 9:9 | 13 |
| ვენესუელა | 10 | 4 | 1 | 5 | 11:14 | 13 |
| ურუგვაი | 10 | 3 | 2 | 5 | 15:23 | 11 |
| კოლუმბია | 10 | 2 | 4 | 4 | 11:11 | 10 |
| პერუ | 10 | 2 | 4 | 4 | 11:12 | 10 |
| ბოლივია | 10 | 3 | 1 | 6 | 11:19 | 10 |



კარლოს პარეირას და მარიო ზაგალოს კიტოშიც სამი ქულა დაუგეგმავთ

## ურუგვაი – პარაგვაი

## კოლუმბია – ბოლივია

## პერუ – ჩილე

# ბლატერმა ევროპას შეუტია

## რა დააშავა ლონდონელმა ბიჭმა?!



ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა ბოლოლა ევროპულ კლუბებს სატრანსფერო პოლიტიკა დაუწუნა, ჯიბის გასქელების მიზნით ყველაფერს კადრულობენო.

„გლობალიზაციის პროცესი, რომელიც თითოეულ ჩვენგანს ეხება, ფეხბურთზე უარყოფითად მოქმედებს — განაცხადა პრეზიდენტმა — ევროპელი გრანდები ცდილობენ, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანას გადასწვდნენ, იქიდან ახალგაზრდა ფეხბურთელები წაიყვანონ და შემოსავლის გაზრდის მიზნით თავისი ბაზარი გააფართოვონ. კლუბებს ავიწყდებათ, რომ საკუთარი ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლები არიან. მაგალითად, ლონდონური გუნდის ძირითად შემადგენლობაში სულ ორი ინგლისელი თამაშობს, დანარჩენები კი მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს შვილები არიან. ძნელია თქვა, რომ ეს კლუბი ლონდონურია. შეიძლება აზიაში, სამხრეთ ამერიკაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში ქომაგებს ეს გუნდი აინტერესებთ, მაგრამ რა ქნას იმ ინგლისელმა, რომლის მამა-პაპაც ყოველ წელს დადიოდა თავისი მშობლიური კლუბის საგულშემატკივროდ, ან იმ ინგლისელმა ბავშვმა, რომელსაც ფეხბურთელობა და თავის ქალაქში თამაში სურს? ფეხბურთელთა მომზადების ცენტრები კლუბებმა ავსტრალიაში და აფრიკაში რატომ გახსნეს? იმიტომ, რომ ნიჭიერი ბიჭები იაფად შეიძინონ, ამ დროს კი ეროვნულ ნაკრებებს მოთამაშეები გამოელიათ".

**ვაჟა ხუციშვილი**

# კარგია, მაგრამ ძვირია

## ვან გაალის 5 მილიონი ბოკას გულს უხეთქავს

*არგენტინული სპორტული გაზეთის OLE-ს ცნობით, იქაური „ბოკა ხუნიორსის" პრეზიდენტმა მაურისიო მაკრიმ „აიაქსის" ყოფილ სპორტულ დირექტორს, ლუის ვან გაალს გუნდის განვრთნა შესთავაზა*



„ბოკას" პრეზიდენტს ჰოლანდიელი მწვრთნელის გადაბირება ჯერ კიდევ მისი „ბარსელონაში" მუშაობისას სურდა, თუმც მაშინ კარლოს ბიანკის ენდო. ამ უკანასკნელმა „ბოკა" საამსეზონოდ დატოვა, ერთი კვირის წინ კი „რივერ პლეიტთან" მარცხის შემდეგ მწვრთნელი ბრინდიზიც გადააყენეს. ამიტომაც, დღეს „ლა ბობონერას" თავკაცთა ყურადღება ისევ ვან გაალმა მიიპყრო.

ჰოლანდიელის გამწვრთნელების პერსპექტივა კი თავისუფალი ჯირითის მოყვარულ არგენტინელ ფეხბურთელებს სულაც არ ახარებთ — ვან გაალი მკაცრ საფეხბურთო სისტემათა ფანატიკურად ერთგული გახლავთ.

ჯერჯერობით „ბოკას" ხორხე ბენიტესი, ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი უხელმძღვანელებს. ბენიტესი არგენტინულ გრანდს იანვრამდე, ანუ 2004 წლის აპერტურას დასრულამდე გაწვრთნის.

„ბოკას" ახალგაზრდა ვარსკვლავი კარლოს ტევესი კი აცხადებს, რომ მაურისიო მაკრიმ „ბოკა ხუნიორსში" გამარჯვებული მენტალიტეტის მქონე მწვრთნელი უნდა მიიწვიოს. ამ მხრივ, ვან გაალი მისაღები კანდიდატურაა, თუმც იმ 5 მილიონი წლიური ევროს ხსენება, რასაც ამსტერდამელი „აიაქსში" იღებდა, პატაგონიელ პრეზიდენტსა და მის გარემოცვას გულს უხეთქავს. ზემოთ ხსენებული OLE გვაუწყებს, ვან გაალთან მოლაპარაკებები ახლაც მიმდინარეობსო.

**ლადო ხომერიკი**

# კანუმ პენსიონერი გაქარცვა




„ვესტ ბრომვიჩის" ნიგერიელმა ფორვარდმა ნვანკო კანუმ გასულ უქმეებზე კინაღამ შოტლანდიელი პენსიონერი იმსხვერპლა. „ვესტ ბრომვიჩი" — „მიდლსბროს" მატჩში, რომელიც სტუმრებმა 2:1 მოიგეს, კანუმ შეხვედრის ბოლოს ცარიელ კარში ბურთი ვერ შეაგდო, რომ გაეტანა და თამაში 2:2 დასრულებულიყო, შოტლანდიელი პენსიონერი ბილ ლესლი 2 გირვანქით 38 ათასს მოიგებდა.

მისტერ ლესლის ქვითარში შაბათ-კვირას 12 მატჩი ეწერა, რომელთაგან 11 შედეგი გამოიცნო და „ვესტ ბრომვიჩის" „იქსს" ელოდა.

69 ბილ ლესლიმ თქვა: „კანუს მომენტი ტელევიზორში ვნახე. იმ ადგილიდან აცილება უფრო რთული იყო, ვიდრე გატანა. იღბალმა აშკარად მიგანა, მაგრამ არა უშავს, მე ხომ მხოლოდ ორი გირვანქა წავაგე. წაგებას როგორმე გადავიტან, ამდენი ფული ცხოვრებაში არასოდეს მომიგია".

**ვაჟა ხუციშვილი**




**ინგლისურმა** „ჩელსიმ" ჰოლანდიური „ფეიენოორდის" ტუნისელ მცველ კარიმ რაიდის დაადგა თვალი. „არისტოკრატთა" მფლობელი რომან აბრამოვიჩი და აღმასრულებელი დირექტორი პიტერ კინიონი როტერდამელთა მატჩსაც დაესწრნენ ამსტერდამის „აიაქსის" წინააღმდეგ. ამ შეხვედრის შემდეგ მხარეებმა ტრანსფერზეც ისაუბრეს, მაგრამ მოლაპარაკების საბოლოო შედეგი ჯერჯერობით უცნობია. თუმცა ისიც ითქვა, შესაძლოა, რაიდმა 2008 წლამდე გაახანგრძლივოს „ფეიენოორდთან" კონტრაქტიო.

**ფრანგული** „მარსელის" თავკაცმა ჟოზე ანიგომ პოსტიდან წასვლა გადაიფიქრა. „ბოლო ტურში „სტრასბურთან" მოგებამ ძალები შეგვმატა. ფეხბურთელებმა ნდობა გამომიცხადეს და ახლა წასვლა არ შემიძლია. ცოტა ხნის წინ ჩვენ სპორტულ დირექტორ პაპ დიუფს ვესაუბრე, რომელმაც მითხრა, რომ ყველაფერზე პასუხისგება მისი მოვალეობაა და არა ჩემი. ბუნებრივია, ამას ბოლომდე არ ვეთანხმები, მაგრამ წასვლა მაინც გადავიფიქრე" — განაცხადა ფრანგმა სპეციალისტმა.

**ინგლისური** „მანჩესტერის" ფრანგი მცველი მიკაელ სილვესტრი ეროვნული ნაკრების დატოვებას აპირებს. 27 წლის ფეხბურთელი „მამლების" ახალ თავკაც რაიმონ დომენეკით უკმაყოფილოა. „დომენეკის მოსვლამ ყველაფერი შეცვალა. მან თავიდანვე აითვალწუნა გამოცდილი ფეხბურთელები და მათი შევიწროება დაიწყო. რატომღაც მის შავ სიაში მე და რობერ პირესიც მოვხვდით. ნაკრებში თამაში მინდა, მაგრამ იგი არ მიძახებს. საერთოდ, ყველაფერი უარესობისკენ შეტრიალდა. იმედი მაქვს, ეს დროებითია, მაგრამ ჯერჯერობით სასიკეთოს ვერაფერს ვხედავ" — აღნიშნა სილვესტრმა.

**ესპანური** „ვალენსიას" პრეზიდენტმა ხუან სოლერმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა გუნდის იტალიელ მწვრთნელ კლაუდიო რანიერის, რომელსაც ბოლო პერიოდში კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. „გულშემატკივრებს და პრესას ვთხოვ, დამშვიდნენ. რანიერიში ეჭვი არასოდეს მეპარებოდა. საერთოდ, ადამიანებს მუშაობის პროცესში არ ვაფასებ და ამას არც ახლა გავაკეთებ. ფაქტია, რომ კლაუდიო რანიერი ჩინებული სპეციალისტია" — თქვა სოლერმა.

**ინგლისური** „ლივერპულის" კაპიტანი სტივენ ჯერარდი ოთხთვიანი პაუზის შემდეგ მოედანზე დასაბრუნებლად ემზადება. ახალგაზრდა ნახევარმცველს იმედი აქვს, რომ უკვე მომავალ უქმეებზე „მიდლსბროსთან" ითამაშებს. „იმედი, „ბოროსთან" შეხვედრის განაცხადში მოვხვდები. დაბრუნებას დიდი მოთმინებით ველოდი და ექიმებიც ყველანაირად ხელს მიწყობდნენ. უკვე ვგრძნობ, რომ მზად ვარ და ვიმედოვნებ, სათანადო ფორმას მალე აღვიდგენ. წინ სეზონის მეორე და მთავარი ნაწილია" — განაცხადა ჯერარდმა.

**კოტდიუვარელი** მცველი ემანუელ ებუ ზამთარში ბელგიური „ბევერენიდან" ლონდონის „არსენალში" დაბრუნდება. 21 წლის ებუ „მეთოფეთა" საკუთრებაა, მაგრამ ამ სეზონის დასაწყისში „ბევერენში" გაანათხოვრეს, სადაც მისი 15 თანამემამულე ირიცხება. ახლა არსენ ვენგერს მისი სჯერა და ებუს საშუალებით დაცვაში ლონდონელთა პრობლემების მოგვარებას აპირებს. ახალგაზრდა აფრიკელით მეორე დედაქალაქური კლუბი „ჩელსიც" დაინტერესდა, მაგრამ თავად ებუს „ჰაიბერიზე" თამაში უნდა.

**ინგლისური** „პორტსმუთის" თავკაცი ჰარი რედნაპი თავის პოსტზე რჩება. ბრიტანულ პრესაში ბოლო დროს გავრცელებული ჭორები გამოცდილი სპეციალისტის გუნდიდან შესაძლო დათხოვის შესახებ არ დადასტურდა. „კლუბის ხელმძღვანელობაში მართლაც მოხდება რამდენიმე ცვლილება, მაგრამ ეს ჩვენს მთავარ მწვრთნელს, ჰარი რედნაპს არ შეეხება. მას სრულიად ვენდობით და მის დათხოვნაზე კლუბში სიტყვაც არ თქმულა" — ნათქვამია „პორტსმუთის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. პრემიერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:45 | 1 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 1.35 | 3.95 | 9.0 | 1.0 | 1.17 | 2.74 |
| 18:00 | 2 | მიდლსბრო-ლივერპული | 2.5 | 3.0 | 2.7 | 1.36 | 1.29 | 1.42 |
| 18:00 | 3 | ნორვიჩი-საუთჰემპტონი | 2.35 | 3.0 | 2.85 | 1.31 | 1.28 | 1.46 |
| 18:00 | 4 | არსენალი-ვესტ ბრომვიჩი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 18:00 | 5 | ჩელსი-ბოლტონი | 1.35 | 4.2 | 8.0 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 18:00 | 6 | კრ. პალასი-ნიუკასლი | 2.85 | 3.1 | 2.35 | 1.48 | 1.28 | 1.33 |
| 18:00 | 7 | ევერტონი-ფულემი | 1.75 | 3.25 | 4.4 | 1.13 | 1.25 | 1.86 |
| 20:15 | 8 | პორთსმუთი-სითი | 2.15 | 3.1 | 3.1 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:05 | 9 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 2.25 | 3.0 | 3.1 | 1.28 | 1.3 | 1.52 |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 10 | ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 1.9 | 3.2 | 3.7 | 1.19 | 1.25 | 1.71 |

### ინგლისი. მეორე ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 54 | სუონსი-დარლინგტონი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:30 | 78 | რეინჯერსი-სელტიკი | 2.5 | 3.1 | 2.5 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 18:00 | 79 | დანდი-ჰიბერნიანი | 2.5 | 3.0 | 2.6 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 18:00 | 80 | დანფერმლაინი-კილმანროკი | 2.4 | 3.0 | 2.7 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 18:00 | 81 | ჰართსი-მოზერუელი | 1.7 | 3.3 | 4.2 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 18:00 | 82 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 2.25 | 3.1 | 2.75 | 1.3 | 1.23 | 1.45 |
| 18:00 | 83 | ლივინგსტონი-აბერდინი | 2.75 | 3.05 | 2.25 | 1.44 | 1.23 | 1.29 |

### გერმანია პირველი ბუნდესლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 11 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1.5 | 3.8 | 5.6 | 1.07 | 1.18 | 2.26 |
| 17:30 | 12 | ჰერტა-ჰანზა | 1.55 | 3.9 | 5.0 | 1.1 | 1.18 | 2.19 |
| 17:30 | 13 | ლევერკუზენი-შალკე | 2.15 | 3.3 | 2.95 | 1.3 | 1.24 | 1.55 |
| 17:30 | 14 | მაინცი-ბოხუმი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 17:30 | 15 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1.3 | 4.65 | 8.2 | 1.01 | 1.12 | 2.96 |
| 17:30 | 16 | არმინია-ვერდერი | 2.85 | 3.0 | 2.4 | 1.46 | 1.3 | 1.33 |
| 17:30 | 17 | დორტმუნდი-ფრაიბურგი | 1.5 | 3.8 | 5.6 | 1.07 | 1.18 | 2.26 |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 18 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 2.4 | 3.0 | 2.85 | 1.33 | 1.3 | 1.46 |
| 19:30 | 19 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |

### ავსტრია ბუნდესლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 117 | ავსტრია-გრაცერი | 1.65 | 3.6 | 4.2 | 1.13 | 1.18 | 1.93 |
| 20:00 | 118 | მატერსბურგი-ბრეგენცი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 20:00 | 119 | პაშინგი-ტიროლი | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 20:00 | 120 | შტურმი-ზალცბურგი | 1.85 | 3.4 | 3.6 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 121 | ადმირა-რაპიდი | 4.5 | 3.7 | 1.6 | 2.03 | 1.18 | 1.11 |

### საფრანგეთი. პირველი დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 169 | მონაკო-სოშო | 1.75 | 3.3 | 4.4 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 23:00 | 170 | პსჟ-ლიონი | 2.55 | 2.9 | 2.7 | 1.35 | 1.31 | 1.39 |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:15 | 171 | ლანსი-ლილი | 2.6 | 2.8 | 2.7 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| 22:00 | 172 | სტ.ეტიენი-რენი | 2.15 | 2.9 | 3.4 | 1.23 | 1.31 | 1.56 |
| 22:00 | 173 | სტრასბური-ოსერი | 2.8 | 2.75 | 2.6 | 1.38 | 1.34 | 1.33 |
| 22:00 | 174 | ტულუზი-ბასტია | 1.85 | 3.3 | 3.9 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 22:00 | 175 | ნანტი-ბორდო | 2.25 | 3.1 | 3.0 | 1.3 | 1.28 | 1.52 |
| 22:00 | 176 | აიაჩო-მარსელი | 3.1 | 3.0 | 2.25 | 1.52 | 1.3 | 1.28 |
| 22:00 | 177 | კაენი-ნიცა | 2.15 | 3.1 | 3.2 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 178 | ისტრი-მეცი | 2.6 | 2.9 | 2.6 | 1.37 | 1.29 | 1.37 |

### ჩეხეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:25 | 245 | ბლშანი-სლავია | 3.6 | 3.3 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| 19:00 | 246 | სიგმა-ოპავა | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| 19:00 | 247 | სპარტა-იაბლონეცი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| 19:00 | 248 | ზლინი-ბუდეიოვიცე | 1.7 | 3.2 | 4.6 | 1.11 | 1.24 | 1.88 |
| 19:00 | 249 | ბანიკი-დრნოვიცე | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 19:00 | 250 | ბოლესლავი-ბრნო | 2.3 | 3.1 | 2.8 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 251 | პრჟიბრამი-სლოვაცკო | 2.4 | 3.0 | 2.7 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 19:00 | 252 | ლიბერეცი-ტეპლიცე | 2.15 | 3.0 | 3.1 | 1.25 | 1.26 | 1.52 |

### მჩ. შესარჩევი მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 329 | სომხეთი-რუმინეთი | 8.0 | 4.2 | 1.35 | 2.75 | 1.15 | 1.02 |
| 19:00 | 330 | რუსეთი-ესტონეთი | 1.25 | 5.0 | 9.5 | 1.0 | 1.1 | 3.27 |
| 19:30 | 331 | მაკედონია-ჩეხეთი | 8.0 | 4.1 | 1.35 | 2.71 | 1.15 | 1.01 |
| 20:00 | 332 | კვიპროსი-ისრაელი | 3.5 | 3.25 | 1.95 | 1.68 | 1.25 | 1.21 |
| 21:00 | 333 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 8.2 | 4.5 | 1.3 | 2.9 | 1.12 | 1.0 |
| 21:00 | 334 | საქართველო-დანია | 4.7 | 3.25 | 1.65 | 1.92 | 1.22 | 1.09 |
| 21:30 | 335 | თურქეთი-უკრაინა | 1.75 | 3.1 | 4.7 | 1.11 | 1.27 | 1.86 |
| 21:30 | 336 | მალტა-უნგრეთი | 9.0 | 5.1 | 1.25 | 3.25 | 1.09 | 1.0 |
| 22:00 | 337 | ლუქსემბურგი-პორტუგალია | 18.0 | 8.0 | 1.01 | 5.53 | 1.0 | 1.0 |
| 22:15 | 338 | ბელგია-სერბეთი | 2.1 | 3.1 | 3.25 | 1.25 | 1.27 | 1.58 |
| 22:30 | 339 | სან მარინო-ლიტვა | 16.0 | 7.0 | 1.1 | 4.86 | 1.02 | 1.0 |
| 22:30 | 340 | ანდორა-პოლანდია | 18.0 | 8.0 | 1.02 | 5.53 | 1.0 | 1.0 |
| 22:30 | 341 | საბერძნეთი-ყაზახეთი | 1.1 | 7.5 | 16.0 | 1.0 | 1.02 | 5.1 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 344 | ეკვადორი-ბრაზილია | 4.9 | 3.25 | 1.65 | 1.95 | 1.23 | 1.09 |
| 23:45 | 345 | ურუგვაი-პარაგვაი | 1.9 | 3.2 | 3.6 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 23:45 | 346 | არგენტინა-ვენესუელა | 1.15 | 5.5 | 15.0 | 1.0 | 1.06 | 4.02 |
| 23:45 | 347 | კოლუმბია-ბოლივია | 1.35 | 3.6 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.48 |
| 23:45 | 348 | პერუ-ჩილე | 2.0 | 3.1 | 3.5 | 1.21 | 1.27 | 1.64 |

**ამხანაგური მატჩები**

**17 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 369 | სლოვაკეთი-სლოვენია | 2.1 | 3.05 | 3.25 | 1.14 | 1.27 | 1.57 |
| 23:00 | 370 | საფრანგეთი-პოლონეთი | 1.4 | 3.65 | 7.4 | 1.01 | 1.17 | 2.44 |
| 22:30 | 371 | იტალია-ფინეთი | 1.3 | 4.2 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 2.86 |
| 22:45 | 372 | გერმანია-კამერუნი | 1.55 | 3.4 | 5.7 | 1.06 | 1.21 | 2.12 |
| 23:00 | 373 | შოტლანდია-შვედეთი | 3.4 | 3.15 | 2.0 | 1.63 | 1.25 | 1.22 |
| 23:45 | 374 | ესპანეთი-ინგლისი | 2.15 | 3.0 | 3.3 | 1.25 | 1.3 | 1.57 |

**ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)**

**17 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 386 | მაკედონია(21)-ჩეხეთი(21) | 7.0 | 4.1 | 1.35 | 2.58 | 1.13 | 1.01 |

**იტალია. თასი**

**19 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 796 | ტორინო-საპდორია | 2.6 | 2.8 | 2.6 | 1.34 | 1.29 | 1.34 |
| 19:00 | 797 | რომა-სიენა | 1.6 | 3.35 | 4.85 | 1.08 | 1.2 | 1.98 |
| 23:00 | 798 | ატალანტა-იუვენტუსი | 3.75 | 3.15 | 1.85 | 1.71 | 1.23 | 1.16 |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 799 | ლეჩე-უდინეზე | 2.3 | 3.15 | 2.7 | 1.32 | 1.24 | 1.45 |
| 19:00 | 800 | ფიორენტინა-პარმა | 1.7 | 3.2 | 4.45 | 1.11 | 1.23 | 1.86 |
| 23:00 | 801 | პალერმო-მილანი | 2.9 | 2.9 | 2.3 | 1.45 | 1.28 | 1.28 |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 802 | კალიარი-ლაციო | 1.95 | 3.1 | 3.45 | 1.19 | 1.24 | 1.63 |
| 23:00 | 803 | ინტერი-ბოლონია | 1.5 | 3.35 | 6.4 | 1.03 | 1.21 | 2.19 |

**ჰოკეი რუსეთი**

**17 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 599 | აკ-დინამო | 2.6 | 4.3 | 1.85 | 1.62 | 1.08 | 1.29 |
| 18:30 | 600 | ნეფტეხიმიკი-სპარტაკი | 1.45 | 4.3 | 4.5 | 1.08 | 1.09 | 2.19 |
| 18:30 | 601 | სევერსტალი-მაგნიტოგორსკი | 2.15 | 4.1 | 2.3 | 1.41 | 1.11 | 1.47 |
| 18:30 | 602 | აკ ბარსი-ლოკომოტივი | 1.75 | 4.15 | 3.0 | 1.23 | 1.1 | 1.74 |
| 18:30 | 603 | ხიმიკი-ავანგარდი | 2.6 | 4.3 | 1.85 | 1.62 | 1.08 | 1.29 |
| 19:00 | 604 | ცსკა-ლადა | 2.25 | 4.0 | 2.25 | 1.44 | 1.12 | 1.44 |
| 16:30 | 605 | მოლოტი-ს.იულაევი | 2.3 | 4.0 | 2.2 | 1.46 | 1.12 | 1.41 |

**ჰოკეი. შვედეთი**

**18 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 500 | მოდო-მორა | 1.4 | 4.8 | 4.1 | 1.08 | 1.04 | 2.21 |
| 21:00 | 501 | იურგორდენი-ლულეო | 1.75 | 4.4 | 2.9 | 1.25 | 1.09 | 1.74 |
| 21:00 | 502 | ფერიესტადი-ჰვ 71 | 1.85 | 4.2 | 2.7 | 1.28 | 1.09 | 1.64 |
| 21:00 | 503 | ფრიოლუნდა-მალმიო | 1.3 | 4.7 | 4.8 | 1.01 | 1.02 | 2.37 |
| 21:00 | 504 | ლინჩიოპინგი-ტიმრე | 1.95 | 4.4 | 2.6 | 1.35 | 1.11 | 1.63 |

**ჰოკეი შვეიცარია**

**19 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 587 | დავოსი-სერვეტი | 1.6 | 4.4 | 3.1 | 1.17 | 1.05 | 1.81 |
| 21:45 | 588 | ლუგანო-ფრიბურგი | 1.35 | 4.8 | 4.6 | 1.05 | 1.04 | 2.34 |
| 21:45 | 589 | რაპერსვილი-ამბრი | 1.85 | 4.3 | 2.7 | 1.29 | 1.09 | 1.65 |
| 21:45 | 590 | ციურიხი-ცუგი | 1.6 | 4.5 | 3.2 | 1.18 | 1.06 | 1.87 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით
CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14332 | კვიპროსი-ისრაელი | 2.2 | 1.7 |
| 14335 | თურქეთი-უკრაინა | 1.65 | 2.3 |
| 14338 | ბელგია-სერბეთი | 1.8 | 2.0 |
| 14344 | ეკვადორი-ბრაზილია | 2.4 | 1.6 |
| 14345 | ურუგვაი-პარაგვაი | 1.7 | 2.2 |
| 14346 | არგენტინა-ვენესუელა | 1.25 | 3.1 |
| 14347 | კოლუმბია-ბოლივია | 1.3 | 3.0 |
| 14348 | პერუ-ჩილე | 1.75 | 2.1 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11332 კვიპროსი-ისრაელი | 5.6 | 10.0 | 20.0 | 6.5 | 4.4 | 3.8 | 20.0 | 10.0 | 2.9 |
| 11335 თურქეთი-უკრაინა | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11338 ბელგია-სერბეთი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11344 ეკვადორი-ბრაზილია | 8.0 | 10.0 | 20.0 | 9.0 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.3 |
| 11345 ურუგვაი-პარაგვაი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11346 არგენტინა-ვენესუელა | 1.7 | 15.0 | 35.0 | 3.5 | 5.0 | 14.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 11347 კოლუმბია-ბოლივია | 2.0 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11348 პერუ-ჩილე | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15332 კვიპროსი-ისრაელი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15335 თურქეთი-უკრაინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15338 ბელგია-სერბეთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15344 ეკვადორი-ბრაზილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15345 ურუგვაი-პარაგვაი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15346 არგენტინა-ვენესუელა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15347 კოლუმბია-ბოლივია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15348 პერუ-ჩილე | 3.0 | 2.8 | 2.0 |

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13332 | კვიპროსი-ისრაელი | 1.7 | 1.9 |
| 13335 | თურქეთი უკრაინა | 1.7 | 1.9 |
| 13338 | ბელგია-სერბეთი | 1.65 | 2.0 |
| 13344 | ეკვადორი-ბრაზილია | 1.65 | 2.0 |
| 13345 | ურუგვაი-პარაგვაი | 1.7 | 2.0 |
| 13346 | არგენტინა-ვენესუელა | 1.8 | 1.8 |
| 13347 | კოლუმბია-ბოლივია | 1.7 | 1.9 |
| 13348 | პერუ-ჩილე | 1.7 | 1.9 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12332 | კვიპროსი-ისრაელი | 1.75 | 1.85 |
| 12335 | თურქეთი-უკრაინა | 1.8 | 1.8 |
| 12338 | ბელგია-სერბეთი | 1.7 | 1.9 |
| 12344 | ეკვადორი-ბრაზილია | 1.65 | 2.0 |
| 12345 | ურუგვაი-პარაგვაი | 1.65 | 2.0 |
| 12346 | არგენტინა-ვენესუელა | 1.65 | 2.0 |
| 12347 | კოლუმბია-ბოლივია | 1.65 | 2.0 |
| 12348 | პერუ-ჩილე | 1.7 | 1.9 |

# სარუსეთო ოცდაორი ვარკეთილში შეიკრიბება

## ფეხბურთმა რაგბი ვაკეს გაარიდა

**ერთა თასის** 2005-2006 წლების გათამაშებას საქართველოს მორაგბეთა ნაკრები შაბათს კრასნოდარული ჯახით იწყებს. ბორჯღალოსნები მეორე დღეა, შეუდგნენ აქამდე მუდამ დაბრიყვებულ რუს „დათვებთან“ შესახვედრად მზადებას. თბილისური შეკრება ზეგამდე გასტანს, მერე კი ნაკრების თავკაცები რუსეთში ჩარტერული რეისით გაფრინდებიან.

ბოლო ლეგიონერი ზურაბ მჭედლიშვილი საფრანგეთიდან გუშინ ჩამოფრინდა და სარუსეთო ოცდაორიც შეივსო. სამხრეთამერიკული ტურნესგან განსხვავებით, შემადგენლობა აშკარად გაძლიერებულია, თუმც ოპტიმალურისგან ალბათ მაინც შორსაა. ტრავმებისა და პირადი პრობლემების გამო ჩამოსვლა ვერ მოახერხეს აქვსენტი გიორგაძემ, დავით დადუნაშვილმა, დავით ხინჩაგიშვილმა, დავით აშვეთიამ, მიხეილ სუჯაშვილმა, გიორგი ჩხაიძემ, გრეგუარ იაშვილმა, ილო მაისურაძემ და პალიკო ჯიმშელაძემ. დაგვეთანხმებით, სოლიდური სიაა.

სამაგიეროდ, ნაკრების პირველ ხაზში ორწლიანი შესვენების შემდეგ ისევ გამოჩნდება მამუკა მაგრაქველიძე. მას და გამოცდილ გოდერძი შველიძეს რუსეთთან ალბათ დებიუტანტი დავით ზერაქაშვილი ამოუდგება მხარში, თუმც ძირითად შემადგენლობაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. სასტარტო თხუთმეტეულს მწვრთნელთა დუეტი თამაშის დღეს იტყვის.

„ნაკრები სრულად დღეს შეიკრიბა და დილით პირველი ვარჯიშიც ჩაატარა — გვითხრა ეროვნული გუნდის მენეჯერმა და ყოფილმა ბორჯღალოსანმა ვასილ აბაშიძემ — თბილისსა და რუსთავში მცხოვრები მორაგბეები ვარჯიშებზე სახლებიდან დადიან, ხოლო ქუთაისელები ერთ-ერთ კერძო სასტუმროში ცხოვრობენ. კრასნოდარული მატჩისთვის მოსამზადებლად „ლოკომოტივის“ სტადიონი ავირჩიეთ, მაგრამ საქართველო — დანიის თამაშის დღეს იქ ვარჯიში არ ხერხდებოდა და ამ დღეს ვარკეთილის მოედანს ვესტუმრებით. რუსეთში თამაშის წინა დღეს, 19 ნოემბერს, დღის მეორე ნახევარში გავფრინდებით, ხოლო უკან შეხვედრის დასრულებისთანავე დავბრუნდებით.“

დასასრულს ერთი ინფორმაცია: რუსეთი — საქართველო თბილისის დროით 14 საათზე დაიწყება და მისი პირდაპირ ეთერში ნახვა რუსული მეშვიდე არხით შეგეძლებათ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### საქართველოს ნაკრები

**შერჩინება**

მამუკა მაგრაქველიძე
გოდერძი შველიძე
დავით ზერაქაშვილი
ილო ზედგინიძე
მამუკა გორგოძე
ზვიად მაისურაძე
რატი ურუშაძე
ბესიკ უდესიანი
ნიკო ქავჭავაძე
დავით გასვიანი
ზურაბ მჭედლიშვილი
დავით ბოლღაშვილი

**უკანა ხაზი**

ირაკლი აბუსერიძე
ოთარ ბარკალაია
ირაკლი მაჩხანელი
ირაკლი გიორგაძე
თედო ზიბზიბაძე
ბესიკ ხამაშურიძე
მალხაზ ურჯუკაშვილი
ბიძინა სამხარაძე
დავით კიკნაძე
ლექსო გუგავა



მამუკა მაგრაქველიძემ ნაკრებში ბოლოს 2002 წელს რუმინეთთან ითამაშა



ბორჯღალოსნები სარუსეთოდ მზადებას გუშინ შეუდგნენ



**დაბლტიეის ჩემპიონატი**

ლოს ანჯელესი. ხელოვნური საფარი. საპრიზო 3 მილიონი $



REUTERS

# სერენას მუცლის გადამკიდე...

## შარაპოვამ თვისტომებს ჩამოუარა

**ფინალი**

**მარია შარაპოვა (6, რუსეთი) — სერენა უილიამსი (7, აშშ) 4:6, 6:2, 6:4**

უწარმატებულესი სეზონი მარია შარაპოვამ წლის დამაგვირგვინებელ ტურნირზე გალაღებით მოიგვირისტა. მართალია, სერენა უილიამსს ქვედამუცელი რომ არ დასჭიმვოდა და ამის გამო გადამწყვეტ სეტში არ ჩაფლავებულიყო, ახლა მამა რიჩის უმცროს გოგოს ვადლეგრძელდებით, მაგრამ — თქვენც კარგად მოგეხსენებათ — ბებიას რომ რაღაც ჰქონდეს, ბაბუა იქნებოდა და თანაც, კინაღამ არ ითვლება.

ერთი სიტყვით და ერთივე გაგებით, სერენა მესამე სეტში 4:0 იგებდა, მაგრამ რაკილა მატჩის მსვლელობისას დაშავებული და მეორე სეტში სათუთად გამოზელილი მუცელი აწ უკვე გაუნელებლად ასტკივდა, საქმის ბოლომდე მიყვანა ველარ შეიძლო. ძალიან იმედგაცრუებული ვარო, იძახდა ნამატჩევს სერენა და არც გაემტყუნებოდა, რაკილა ამ მატჩში მას მართლაც ჩოგანეწიფებოდა — და, ვინძლო, იმსახურებდა კიდეც — 17 წლის რუსგოგოზე წლევანდელი უიმბლდონობის ფინალში ნაწვნევი მარცხისთვის რომ ეზღო.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ნინველა რუსს გაწეული გარჯა არ დავუფასოთ. ლოს ანჯელესში ჩასვლამდე მას წლეულს ოთხი ტიტული კი მოეხვეჭა, მაგრამ თვისტომთაგან — ვერა ზვონარიოვასგან, სვეტლანა კუზნეცოვასა და ანასტასია მისკინასგან მაინც ბევრი წყენა ახსოვდა. ჰოდა, ამ ტურნირზე მაშამ სამივეს აჯობა და, თუმც ამელი მორესმოსთან დათმო, საბოლოოდ მაინც ჰალალად ირგუნა გამარჯვებულისთვის დათქმული მილიონი დოლარი.

ამ გამარჯვებამ ნორჩი რუსგოგო რეიტინგსიაში პირადსარეკორდოდ მაღალ, მეოთხე საფეხურზე ალაზევა. რაც შეეხება სერენას, ტრავმირებული ქვედამუცელი მას გუშლამ დასტაქრებისთვის უნდა ეჩვენებინა — ემანდ მშობლიურ ქალაქში რამე სერიოზული ხომ არ ავიკიდეო.

**მასტერსთასი**

ჰიუსტონი. მაგარსაფარი. საპრიზო 4,45 მილიონი $

**წითელი ჯგუფი**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — გასტონ გაუდიო (8, არგენტინა) 6:1, 7:6 (7:4); ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) — კარლოს მოია (5, ესპანეთი) 5:4 *მატჩი წვიმის გამო შეწყდა***

როჯერ ფედერერმა წლეულს ათ ფინალში ითამაშა და ათივეში იმარჯვა, თანაც ამ ათიდან სამი დიდი მუზარადის ტურნირებისა იყო. ასე რომ, შარშანდლის დარად მან წლევანდელ მასტერსთასზეც რომ იმარჯვოს, ეს არც არავის გაუკვირდება. ეგ მით უფრო მას შემდეგ, რაც რომ ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში მან სრულიად დამაჯერებლად და გაუჯანჯლებლივ აჯობა წლევანდელი როლანგაროსობის არგენტინელ გამარჯვებულ გასტონ გაუდიოს და ყველას აჩვენა, რომ ამ რამდენიმე კვირის წინ დაჭიმული ბარძაყი ახლა სავსებით მოკეთებული აქვს.

კარლოს მოიასა და მასტერთასის ორგზის — 2001-02 წლების ჩემპიონ ლეიტონ ჰიუიტის შეხვედრა კი წვიმის გამო ვერ დასრულდა.

**ლევან ძელაურაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# ვერის ბაღის მელოდიები და ცოტა კალათბურთიც

16 ნოემბერი. ვერის ბაღი

**თსუ 97:89 მაკაბი**

17:23 27:21 27:29 26:16

თსუ: გაფრინდაშვილი (5), ი. მაისურაძე (18), ფანჩულიძე (5), ლეჟავა (18), მარხვაშვილი (14), ბაქრაძე (7), ლომიძე (2), კოკოლიშვილი (13)
მაკაბი: ნინოშვილი (21), ბადრიძე (16), ერგემლიძე (13), ენუქიძე (2), ვაშაკიძე (24), კორკოტაძე (14), კონჯარია (3)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე
კომისარი: როლანდ გელოვანი

**დინამო 90:69 თუჯი**

23:12 20:21 24:14 23:22

დინამო: გამყრელიძე (13), ხეცურიანი (18), ლოსაბერიძე (19), დიდია (5), სუხიშვილი (10); ბექაური (4), გულისაბედაშვილი (2), ლაფანაშვილი (11), კვიმსაძე (2), ვ. მაისურაძე (6), დერიუგინი
თუჯი: ჟღენტი (9), ბოისა (2), ჩაჩუა (15), ტყეშელაშვილი (4), დანელიანი (19); ფაიქრიძე, გოგსაძე, არწივიძე (5), ლიპარტელიანი (3), მურჯიკნელი (5), ჭოჭუა (10)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**სტუ 136:76 სსუ**

33:18 28:17 44:22 31:19

სტუ: დ. ბერიშვილი (18), კეიდია (15), პირველაშვილი (4), გაგნიძე (8), კოხრეიძე (4), შანიძე (16), მარკოიშვილი (21), დევიძე (6), გოგობერიშვილი (36), მიქაძე (8), დავითულიანი (6)
სსუ: ნინუა (16), იმედაშვილი (2), პატარაია (16), გასიტაშვილი (6), მ. ხოშტარია (7), ლ. ნოზაძე (5), ქვილითაია (7), ონიკაშვილი (1), გოლეთიანი (7), მ. ბერიშვილი (7), ჭოველიძე (4)
მსაჯები: ლიკა ქაჯაია, ხათუნა გაბედავა
კომისარი: მურმან ქურიძე

კვირას გასამართი და სამეჯლისო ცეკვის ფესტივლის გამო გადადებული მატჩები ვერის ბაღში გუშინ ჩატარდა. დარბაზში მისულ გულშემატკივარს საკალათბურთო სარბიელი სახეცვლილი დახვდა. მოედნის ცენტრი და საჯარიმოები ნავთობპროდუქტებით მოვაჭრე კომპანია „ნუკოილის" ლოგოებით მოეხატათ, რაც თავისთავად მისასალმებელი ფაქტია, რაკი ტყუილად ფულს არავინ გამოვა, არავინ მოხატავს სათამაშო სარბიელს რომელიღაც კომპანიის ლოგოებით. ასე რომ, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს სავარაუდოდ სპონსორი გამოუჩნდა, თუმც ამაზე ღიად საუბარს ფედერაციის წარმომადგენლები ჯერ თავს არიდებენ.

ერთ სიახლეზეც უნდა ვთქვათ: ვერის ბაღის დარბაზს არც აქამდე აკლდა მელოდიები, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა დინამიკები შეუკეთებიათ ან შეუცვლიათ და მატჩებსშორისი რეპერტუარიც შეუმდიდრებიათ. მუსიკა უფრო ჟღერადი და საამოდ სასმენი იყო და როცა „დინამო" — „თუჯის" მატჩმა მესამე მეოთხედში აზრი დაკარგა, გულშემატკივართა ერთმა ჯგუფმა ამოიოხრა, თამაში მალე დამთავრდეს, მუსიკას მაინც მოვუსმენთო.

არადა, არავის ეგონა, დინამოელები ასე იოლად თუ დაამარცხებდნენ რუსთაველებს. ამ მატჩს გასულ პარასკევს საგანგებო პრესკონფერენცია მიეძღვნა, მაგრამ, როგორც გამოჩნდა, საგანგებო წარდგენას თსუ — „მაკაბი" უფრო იმსახურებდა.

ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდი კერკეტი კაკალია ნებისმიერი მეტოქისთვის და გუშინ ცოტაც რომ გამართლებოდა, უნივერსიტეტელებს მშრალზე დატოვებდა. „მაკაბი" თავიდანვე დაწინაურდა და მატჩის უმეტესი დრო თსუ მდევრად ამყოფა. სტუდენტები მეფარეების ნაკლებობას განიცდიან და თავდაპირველად „მაკაბიც" ამით მშვენივრად სარგებლობდა. გივი ვაშაკიძე სამწამიანის ბატონ-პატრონი გახლდათ და როცა მას უკანახაზელებმაც გაუმაგრეს ზურგი, „მაკაბი" საგრძნობლად დაწინაურდა.

თსუ-მ ფარქვეშ ფეხის მოკიდება სცადა, მაგრამ რომ არ გამოუვიდა, მეორე მეოთხედში მთლიანად სამქულიანებზე ააგო თამაში, თუმც სტუდენტები შიგადაშიგ გარღვევებსაც გამოურევდნენ ხოლმე. გიორგი მარხვაშვილი, ირაკლი მაისურაძე, ნუგზარ კოკოლიშვილი, ირაკლი ბაქრაძე — თითქმის ყველა თსუ-ელმა ჩააგდო შორიდან და ტაიმის ბოლოს სტუდენტებმა სხვაობა ამოწურეს.

მეორე ნახევრიდან თანაბარი თამაში გახურდა. ეგაა, უფრო ხშირად „მაკაბი" იყო წინ და თსუ-ს რის ვაი-ვაგლახით უხდებოდა ჩამორჩენის გაბათილება. ჩააგდებდა „მაკაბი" მიჯრით ხუთიოდ ქულას და მერე იგივეს თსუ აკეთებდა — თამაში მეტად სპონტანური იყო, ვიდრე რაიმე ლოგიკაზე ან თუნდაც ტაქტიკაზე დაფუძნებული.

მესამე მეოთხედის შემდეგაც თანაბარი იყო ანგარიში და საფინალო სირენამდე ორი წუთით adრეც ვერ გაიგებდი, ვინ იმარჯვებდა. ბოლოს კი, როგორც თავში ვთქვით, თსუ-მ იყოჩაღა, თუმც ახალი არაფერი გაუკეთებია, უბრალოდ, „მაკაბიმ" ააცილა, სტუდენტებმა კი ჩააგდეს.

ასეთივე დაძაბული რომ გამომდგარიყო „დინამო" — „თუჯის" დაპირისპირებაც, მიუხედავად სტუ — სსუ-ს ულიმლამო ბურთაობისა, გულშემატკივარი ალბათ კმაყოფილი დატოვებდა გუშინ ვერის ბაღს, მაგრამ ვიცე-ჩემპიონმა ერთი ხელის გაქნევით დაჩაგრა რუსთაველქალაქელები და, როგორც ვთქვით, მაყურებელი თამაშის ცქერაზე მეტად მუსიკის სასმენად განაწყო.

**ირაკლი პერტაია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 3 | 3 | 0 | +112 | 6 |
| სტუ | 3 | 3 | 0 | +79 | 6 |
| თბილავიამშენი | 3 | 2 | 1 | +72 | 5 |
| დინამო | 3 | 2 | 1 | +18 | 5 |
| თუჯი | 3 | 1 | 2 | -1 | 4 |
| სსუ | 3 | 1 | 2 | -115 | 4 |
| მაკაბი | 3 | 0 | 3 | -74 | 3 |
| ბურჯი | 3 | 0 | 3 | -91 | 3 |

NBA რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS

კლივლენდელმა ლებრონ ჯეიმსმა „გოლდენ სტეიტს" 33 ქულა ჩაუგდო

15 ნოემბერი

**კლივლენდი 99:88 გოლდენ სტეიტი**

კლივლენდი: ჯეიმსი (33 ქულა, 12 მოხსნა), მაკინისი (20), ილგაუსკასი (16)
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (27), ფიშერი (15), რობინსონი (13)

**ნიუ ჯერსი 69:80 ჰიუსტონი**

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (17 ქულა, 11 მოხსნა), მურნინგი (15)
ჰიუსტონი: ჯექსონი (18), მაკგრეიდი (14)... მინგი (6)

| აღმოსავლეთი | | | | დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| ბოსტონი | 3 | 2 | 60,0 | დალასი | 7 | 1 | 87,5 |
| ფილადელფია | 4 | 3 | 57,1 | სან ანტონიო | 5 | 1 | 83,3 |
| ტორონტო | 4 | 3 | 57,1 | ჰიუსტონი | 4 | 4 | 50,0 |
| ნიუ იორკი | 2 | 3 | 40,0 | მემფისი | 2 | 5 | 28,6 |
| ნიუ ჯერსი | 2 | 5 | 28,6 | ნიუ ორლეანი | 0 | 6 | 0 |
| **ცენტრალური** | | | | **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| ინდიანა | 5 | 2 | 71,4 | სიეტლი | 6 | 1 | 85,7 |
| მილუოკი | 3 | 2 | 60,0 | იუტა | 5 | 1 | 83,3 |
| კლივლენდი | 4 | 3 | 57,1 | მინესოტა | 3 | 2 | 60,0 |
| დეტროიტი | 3 | 3 | 50,0 | პორტლენდი | 3 | 3 | 50,0 |
| ჩიკაგო | 0 | 4 | 0 | დენვერი | 2 | 5 | 28,6 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | **წყნარი ოკეანე** | | | |
| მაიამი | 5 | 2 | 71,4 | ფინიქსი | 4 | 2 | 66,7 |
| ორლანდო | 4 | 3 | 57,1 | კლიპერსი | 4 | 3 | 57,1 |
| ვაშინგტონი | 3 | 4 | 42,9 | ლეიკერსი | 4 | 4 | 50,0 |
| შარლოტი | 1 | 4 | 20,0 | საკრამენტო | 3 | 4 | 42,9 |
| ატლანტა | 1 | 5 | 16,7 | გოლდენ სტეიტი | 1 | 7 | 12,5 |

ავტორბოლა



# მწვანე კატებს წითელმა ხარმა უშველა

**როგორც იქნა,** სასიკეთოდ გადაწყდა კორპორაცია „ფორდის" საფორმულო გუნდ „იაგუარის" ყოფნა-არყოფნის საკითხი.

წლეულს „ფორდმა" ფორმულა 1-დან წასვლა გადაწყვიტა და, ბუნებრივია, თავისი საჯინიბოს სარფიანად გაყიდვაც სურდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იყო ორი-სამი მსურველი, გარიგება არ შედგა, რადგან ამერიკელები უზარმაზარ თანხას ითხოვდნენ.

ყველაზე შეძლებული კლიენტი ჩანდა ავსტრიული მატონიზირებელი სასმელების კომპანია „რედ ბული" და მართალია, თავიდან მოლაპარაკება ჩიხში მოექცა, მხარეებმა მერე მაინც გამონახეს საერთო ენა და საბოლოოდ სწორედ „წითელი ხარი" დაეპატრონა „მწვანე კატებს."

ცხადია, საქმის დეტალები არ გახმაურებულა და არც აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენი დაუჯდა „სამეფო რბოლებში" საკუთარი გუნდის შოვნა ავსტრიელ ბოს დიტრიხ მატეშიცს (ამბობენ, 80 მილიონი დოლარის ფარგლებშიო), მთავარი ისაა, რომ „იაგუარი" გადარჩა და სამეფო ქარავანში გაისადაც ათი საჯინიბოს ოცი მრბოლი იჯირითებს.

„ფორდ ჯგუფის" ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ პერი-ჯონსი: „დღევანდელი დღე ჩვენთვის ეპოქის დასრულებას ნიშნავს. სპორტში 35-წლიანი ტრიალის შემდეგ ჩვენ ფორმულა 1-დან მივდივართ და ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ იყო. გარწმუნებთ, რომ ჩვენი საფორმულო ბიზნესი მივყიდეთ ხალხს, რომელთაც სპორტში დიდი ისტორია აქვთ და თავიანთი მარკის კიდევ უფრო წინ წამოწევა სურთ."

„რედ ბული" წლების მანძილზე ატარებს კამპანიას ახალგაზრდა მრბოლების მატერიალურად მხარდასაჭერად და 2002 წლამდე საფორმულო „ზაუბერის" აქციების დიდ პროცენტსაც ფლობდა.

სუმო

# შავი ზღვა იაპონიაში აბობოქრდება

**იაპონიის** ოთხი დიდი კუნძულიდან ყველაზე სამხრეთი, კიუსიუ ამ დღეებში გვარიანად დამძიმდა. კუნძულის მთავარქალაქ ფუკუოკაში სუმოისტთა სეზონის დამაგვირგვინებელი მეექვსე ტურნირი გახურდა. მაკუტიში, იგივე უმაღლეს კატეგორიაში, 42 უძლიერესი გოლიათის თხუთმეტდღიანი ჯაჯგური საუკეთესოს 28 ნოემბერს გამოავლენს და იგი სუმოს მთავარი ჯილდოთი, იმპერატორის თასით დაჯილდოვდება.

ეს დიდკაცთა „ბლარძუნი“ ჩვენთვის პირველ რიგში საინტერესო იმითაა, რომ იმპერატორის თასისთვის მებრძოლებში 23 წლის ქართველი ლევან ცაგურიაცაა. „კოკაით“, ანუ „შავ ზღვად“ მონათლულ 157-კილოგრამიან ექსთავისუფალი სტილის მოჭიდავეს დიდ სუმოში თავისი სიტყვა უკვე კარგა ხანია, ეთქმის და ამას მისი წოდებაც ადასტურებს — დასავლეთის მეორე მაეგასირაა. თუმც იმპერატორის თასის ფავორიტებში ქართველის შეყვანა, როგორც ჩანს, ჯერ მაინც ადრეა.

კვირიდან სამშაბათამდე სამი ტური ჩაჭიდავდა და კოკაიმ სამიდან მხოლოდ ერთი ბრძოლა მოიგო. 28 წლის სეკივაკე ვაკანოსატოსთან და მის თანატოლ ოძეკი ტოჩიაძუმასთან მარცხების შემდეგ ჩვენებურმა 175-კილოგრამიანი ოძეკი მუსოიამა გააგორა. სეკივაკე და ოძეკი სუმოს ენაზე წოდებებს აღნიშნავს, ისევე როგორც მაეგასირა, თუმც მასზე უკეთეს მაჩვენებლებად ითვლება.

უმთავრეს ფავორიტად 21-ე საუკუნის პირველი იოკოძუნა (უმაღლესი წოდება), მონღოლი ასასიორიუა მიჩნეული და ის ჯერჯერობით მოწინააღმდეგეებს მართლაც პატარა ბავშვებივით უსწორდება. 140-კილოგრამიანი ცისფერი დრაკონის შემდეგ ყველაზე ხმამაღლა 151-კილოგრამიან ოძეკი ტოჩიაძუმას ახსენებენ. სამი ტურის მერე ისიც დაუმარცხებელია.



ლევან ცაგურია, იგივე „კოკაი“, იგივე „შავი ზღვა“

ჰოკეი

# ლოთის აღსარება

## ფლერიმ ენა ამოიდგა



**მოგეხსენებათ,** წლინახევრის წინ ლიგაში დიდი აურზაური გამოიწვია ცნობილი ფორვარდის ტეო ფლერის მოულოდნელმა დემარშმა. ქალაქ კოლუმბუსის ერთ-ერთ ბარში ჩხუბის ატეხვის გამო დაკავებულმა „მძლავრმა თაგვმა“ (ლიგაში ყველაზე ტანმორჩილი, 168-სანტიმეტრიანი ფლერის მეტსახელია) ჰოკეისთან დამშვიდობება გადაწყვიტა და ლიგის სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩაერთო. არადა, იმ მომენტისთვის ფლერი „რეინჯერსის“ ლიდერი გახლდათ და კლუბი პლეიოფში გასვლისთვის იბრძოდა. თანაც ფლერიმ თავი აარიდა ამ გადაწყვეტილების უშუალო საბაბის გამხელას და შემდეგაც სდუმდა.

და აი, გასულ დღეებში ფლერიმ ენა ამოიდგა და გამოტყდა: „დღემდე ვერ გამოვფხიზლდი. განა დანებებას არ ვცდილობ? ვცდილობ, თანაც როგორ, ყოველდღე ვებრძვი საკუთარ თავს, მაგრამ ჯერჯერობით ბოლომდე ვერ გამოვჯანმრთელდი“ — აი, ასეთი იყო ფლერის სიტყვები. ჰოკეისტმა ისიც არ დამალა, რომ ეს არ არის მხოლოდ ალკოჰოლისადმი მიდრეკილება. მისივე თქმით, მას ლამის ყველა „მავნე ჩვევა“ ჰქონდა და სანამ ერთს ებრძოდა, მეორე ამოტივტივდებოდა ზედაპირზე და ასე შემდეგ.

„ასეთია ამ სენის ბუნება, რომელიც ადამიანებს დღემდე ვერ გაუგიათ ბოლომდე. ეს მთელი ცხოვრების განაჩენია“ — ფილოსოფიურად დასძინა ჰოკეისტმა.

როგორც ხედავთ, ჯერჯერობით ფლერის საბოლოოდ განკურნებაზე ლაპარაკი ზედმეტია და შესაბამისად, ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ნჰლ-ელის ყინულზე დაბრუნებაც შორეული მომავლის ამბავია.

**სამველ ლარიბიანი**

ოლიმპიზმი

# მონტგომერის ფაქტებს დაულაგებენ



**100 მეტრ** დისტანციაზე სირბილში მსოფლიოს რეკორდის მპყრობელი ტიმ მონტგომერის აშშ-ს ანტიდოპინგური სამსახური რომ გადაეკიდა, ძველი ამბავია. მის თანამეცხედრე მერიონ ჯონსსაც თვეები დასჭირდა, რომ სააგენტოსთვის დაემტკიცებინა, დოპინგთან არ ვახლობლობო. საბოლოოდ ჯონსმა სიმართლე კი გაიტანა, მაგრამ „ჭეშმარიტების ძიებამ“ და სხვადასხვა სასამართლოებში სირბილმა ისე მოტეხა, რომ ოლიმპიადაზე მისგან რასაც ელოდნენ, იმის ნახევარიც ვეღარ შეძლო.

მონტგომერის საქმე უფრო ცუდადაა. მის მიმართ სამხილების სიმრავლე თვალში საცემია და ისეთი პირი უჩანს, რომ თავს ვერ დაიძვრენს. ტიმთან ერთად ბრალდებას კიდევ ერთ სახელმოხვეჭილ ამერიკელს, 4X100 მეტრზე სირბილში ოლიმპიური ოქროს მფლობელ კრისტი გეინსსაც უყენებენ.

მონტგომერის, ჯონსისა და გეინსის საქმის გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც აშშ-ს ანტიდოპინგურმა სააგენტო BALCO-მ ლაბორატორიაში გარკვეულ სამხილებს მიაგნო. ამ სამეულის გარდა გამოძიებამ რამდენიმე სპორტსმენის კარიერა შეიწირა, ახლა კი, იქნებ, მონტგომერისა და გეინსსაც ელით იგივე. მათი საქმის განხილვა 1 ნოემბერს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ოფიციალურ პირთა განცხადებით, მეტი სამხილების მოძიება ყოფილა საჭირო და გარჩევაც მომავალ ივნისამდე გადაიდო.

ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში მონტგომერის სპორტიდან სამუდამოდ მოკვეთენ.

**ლადო ფულუძიძე**

# ბოლი და მტვერი არავის შერჩება

**აქამდე** ასე იყო, სპორტსმენებს ნარკოტიკების დაჭაშნიკებისთვის დისკვალიფიკაციით მხოლოდ მაშინ სჯიდნენ, თუ მას შეჯიბრების დამთავრებისთანავე აულებდნენ ანალიზს და დადებით პასუხსაც მიიღებდნენ. ახლა საერთაშორისო ანტიდოპინგურ სააგენტოს (ვადა) პრეზიდენტი დიკ პაუნდი აცხადებს, რომ მისი ორგანიზაცია დაჟინებით მოითხოვს, რათა ნარკოტიკების, კერძოდ, მარიხუანისა და კოკაინის მომხმარებელი სპორტსმენები აუცილებელი ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯონ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნივთიერებები სტიმულატორებად არ ითვლება.

პაუნდმა ეს ამბავი კოკაინის გამოყენებისთვის რუმინელი ადრიან მუტუს ფეხბურთიდან 7-თვიანი მოკვეთიდან ორი კვირის თავზე განაცხადა.

# პეტიცია სამაიმუნოდაც გროვდება

## საპეკინოდ ცხოველებიც იბრძვიან

**ოლიმპიური** თამაშები მაიმუნობა არ არის, მაგრამ ამ ხუთრგოლიანი სპორტული დღესასწაულისთვის სამაიმუნოდ პეტიციები დიდი მონდომებით გროვდება. ამ საქმით ყველაზე მეტად დაკავებულან ჩინეთის მსხვილი სამრეწველო ცენტრის ტიანცზინის მესვეურები, რომლებიც თავიანთი ზღვისპირელი „გმირის“, მაიმუნთა მეფის სუნ უკუნის მხარდასაჭერად თავგამოდებით იბრძვიან.

სუნ უკუნის „ისტორიულ სამშობლოში“ მიაჩნიათ, რომ პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების თილისმა სწორედ მათი მაიმუნთ-მეფე უნდა იყოს, მაგრამ მთელი ჩინეთი ასე როდი ფიქრობს.

ამ ქვეყნის სხვადასხვა პროვინციას სათილისმოდ თავისი ჯილა ჰყავს და ყველა თავისისას ცდილობს. მაგალითად, სამხრეთ-დასავლეთის პროვინცია სიჩუანი თავის საყვარელ პანდას ლობირებს, რადგან ამ ცხოველთა თითქმის ნახევარი სწორედ მათთან ბინადრობს. სინჩუანელთა აზრით პანდა სათილისმოდ მისწრებაა, რადგან იგი ყველაზე მეტად გამოირჩევა ოლიმპიური სიმშვიდით. ეს ოლიმპიადის სულისკვეთებას შეეფერება, რაც მშვიდობასა და ჰარმონიას გულისხმობს.

მაიმუნთა მეფეს პანდას გარდა სათილისმოდ ეცილება ტიბეტური ანტილოპა და თვით მრისხანე სამხრეთჩინური ვეფხვიც.

რითი დამთავრდება ცხოველთა სამყაროს ეს ბრძოლა, ამას გაისად ივლისში შევიტყობთ, როცა პეკინის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი თავის არჩევანს გააკეთებს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარიზი იმედოვნებს




REUTERS პარიზიდან

დიახ, პარიზს უნდა, რომ 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძელი შეიქნეს. აი, წარწერაც გაჩნდა ეიფელის კოშკზე, ოღონდათ, საქმეც ესაა, რომ ასევე უნდათ ნიუ იორკს, მოსკოვს, ლონდონსა და მადრიდს. მათი ამბავი კი ლოზანაში გაირკვევა, გაისად, 6 ივლისს.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# გაცინებული

სასამართლოები, ცრუ ბრალდებები და ასეთი რამეები მოთავდა. „ლეიკერსის" ვარსკვლავი კობი ბრაიანტი და მისი ცოლი ვანესა კვლავ იცინიან. კობი საერთოდაც წამყვანად ყოფილა ამერიკული მუსიკის ჯილდოთა შოუზე, ლოს ანჯელესში რომ გაიმართა.



REUTERS ნიუ იორკიდან

# მზადება




REUTERS ნიუ იორკიდან

დიახ, 11 დეკემბერს ლას ვეგასში მძიმე წონის საჩემპიონო კრივია. საბჭოს (ვბკ) უკრაინელ-გერმანელი ჩემპიონი ვიტალი კლიჩკო ბრიტ დენი უილიამსს უნდა დაუხვდეს და ქამარი არ გაატანოს. ორივენი ნიუ იორკში ვარჯიშობენ: ბრიტი მძიმე ტომარას შებმია, უკრაინელი სისწრაფის მხალს.



REUTERS ფოქსბოროდან

# სხვა საქმეში მოტეხილი

„ბოსტონ რედ სოქსმა" მსოფლიო სერიათა თასი წინა კვირას ასწია, მისმა პიჩერმა კურტ შილინგმა კი თამაშზე არა და კარტინგით ქროლვისას მოიტეხა ფეხი. საქმეში მისი ვაჟი გრანტიც ყოფილა, ოღონდაც, მადლი ღმერთსა, არაფერი დაშავებია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge